# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 14 ოქტომბერი 2008 №237 (3461) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ოქსანა კალაშნიკოვას პირველი დიდი გამარჯვება

ჩვენმა ჩოგბურთელმა შვიდი მატჩი და 25 ათასიანი ტურნირი მოიგო

11



## შვიდი მედალი მსოფლიოს თასიდან

ქართველმა ძიუდოისტებმა აზერბაიჯანი მოიარეს და ალაფით დაბრუნდნენ

12

# ბულგარეთი რიხით ჩამოდის

## იმედი? რა თქმა უნდა, გვაქვს

დღეს თბილისში ბულგარეთის ნაკრები ჩამოდის და იტალიასთან ფრით მადააშლილი საქართველოს ნაკრების დამარცხებას ეცდება.

ბულგარელთა გათვლა მარტივია: ერთი, რომ შემადგენლობაში სასჯელმოხდილი სტანისლავ ანგელოვიც ეყოლება და თან, საქართველოც ვერ არის „სკუადრა"...

ჩვენები კი, ცხადია, ეცდებიან, „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა" დამართონ მეტოქეს და ბოლოს და ბოლოს, ამ შესარჩევ ციკლში პირველი თამაში მოიგონ. მოგება ხომ ისედაც არ არის იოლი და ახლა კიდევ უფრო ძნელი იქნება: ზურაბ ხიზანიშვილი და რატი ალექსიძე დისკვალიფიცირებულნი არიან, მათე ღვინიანიძემ კი ტრავმა ვერ მოირჩინა.

და იმედი? იმედი, როგორც ყოველთვის, გვაქვს.



# დღეს და მერეც მოსაგებია

## ენერჯი მეექვსე მოთამაშეს ელოდება

ფიბა-ევროპის თასი. პირველი წრე, პირველი მატჩი. დღეს. სპორტის სასახლე. 18.15 საათი

**ენერჯი-ინვესტი — სუმიხიმპრომი**

საქართველო — უკრაინა



„ენერჯი-ინვესტი" შარშანდელ ევროთასზე

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT




გაგი კეთილაძის ფოტო

# ალექსიძე-ხიზანიშვილი ღვინიანიძემ გაასამა

**საქართველოს** ნაკრებმა საგურამოს ბაზაზე მზადება დაამთავრა და დღეს უკვე „ეროვნულზე" გადაინაცვლებს.

ექტორ რაულ კუპერი შეგირდებს ახლა ამ სტადიონზე ავარჯიშებს და ბულგარეთთან საზვალიო მატჩისთვის მოამზადებს.

კვიპროსთან ვერმომგებ ჩვენს გუნდს მომდევნო შეხვედრისთვის სათანადო განწყობა-მოტივაცია არ უნდა აკლდეს. სამი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი ქულა — ასეთია საქართველოს სადღეისო მონაგარი და ყველაფერთან ერთად თავმოყვარეობის ამბავიცაა, რომ ჩვენებმა არ წააგონ.

მწვრთნელმა ნაკრების ფეხბურთელებს უკვე დეტალურად გაუანალიზა კვიპროსთან თამაში და დღეს უკვე ბულგარეთ — იტალიის შეხვედრას გაურჩევს.

გუშინ კი კუპერმა ნაკრები შეთხელებული შემადგენლობით ავარჯიშა. საქმე ისაა, რომ ბულგარეთთან დისკვალიფიკაციის გამო გუნდს გამოაკლდებიან რატი ალექსიძე და ზურაბ ხიზანიშვილი, კვიპროსთან მიღებული ყვითელი ბარათები მათთვის მეორე გამოდგა.

კვიპროსთან მატჩის წინ დაშავებულმა მათე ღვინიანიძემ კი ტრავმა ისეც ვერ მოიშუშა და, ცხადია, მწვრთნელმა ისიც გაათავისუფლა. ლევან ყენიას ისევ აწუხებს კოჭის ტკივილი, მაგრამ არც ისე, ბულგარეთთან თამაში ვერ შეძლოს. დაშავებულ-დისკვალიფიცირებულთა შემცვლელებად კუპერს არავისთვის დაუძახებია და ხვალისთვის ერთი კვირის წინ შეკრებილი დანარჩენი ფეხბურთელების იმედი აქვს.

ისე, შევიტყვეთ, რომ კვიპროსული შემადგენლობა ბულგარეთთან შეხვედრისას ბევრად შეცვლილი არ უნდა იყოს — კუპერს შემადგენლობის ხშირი ცვლა არც არასდროს ახასიათებდა.

შეგახსენებთ: ხვალინდელი მატჩიც ცხრის ნახევარზე დაიწყება.

**კობა ინასარიძე**

# ნოვაცია მსოფლიო ფეხბურთში: ოთხი ცენტრალური მცველი

**იქნებ,** სადმე გაგიგიათ, რომელიმე ქვეყნის ნაკრები ან კლუბი ოთხი ცენტრალური მცველით თამაშობდეს?! ეტყობა, ყველანაირი ნოვაცია საქართველოს ნაკრებში უნდა ვნახოთ, ხოლო რამდენად სასარგებლო ნოვაციაა, აგერ, შედეგები მოწმობს — სამ მატჩში აღებული კინკილა ქულა.

მკითხველი იტყვის, უჩა ლობჟანიძე და გიორგი შაშიაშვილი ფლანგზე თამაშობდნენო და მართალიც იქნება, მაგრამ... რა აზრი აქვს ისეთ მარჯვენა და მარცხენა მცველებს, მეტოქის ნახევარზე იშვიათად რომ გადადიან და თუ გადადიან, ყველანაირი ეფექტის, სითამამის და შესაბამისად, სარგებლის გარეშე?!

ლობჟანიძე სულ ოთხჯერ თუ ხუთჯერ გადავიდა ცენტრს იქით, მაგრამ არანაირი გამწვავება, არანაირი ფანტაზია ამას არ მოჰყოლია. ან როგორ მოჰყვებოდა, როცა უჩა ცენტრალური მცველის კვალობაზეც არ არის სწრაფი, ფლანგელ მცველს კი რა უნდა ახასიათებდეს? სისწრაფე, ინდივიდუალური გარღვევები, ეფექტური ჩაწოდება...

შაშიაშვილი საერთოდ არ მიახლოვებია კვიპროსელთა საჯარიმოს — ის არ არის ისეთი ტიპის მცველი, ფლანგებიდან შეტევები გაამწვავოს და მის ფრთაზე მოთამაშე შემტევს მიეხმაროს. რამდენჯერ იყო კვიპროსთან, ალექსანდრე იაშვილს ფეხზე აჯდებოდნენ მცველები და ის პასს ვერავის აძლევდა, რადგან შორიახლოს არავინ იდგა.

იგივე სიტუაცია იყო საპირისპირო ფლანგზე: ლევან ყენიას როგორმე თუ ზუსტი პასი მიუვიდოდა, სხვა შანსი არ ჰქონდა, ინდივიდუალურ გარღვევაზე უნდა წასულიყო ორ-სამ კვიპროსელს შორის, თორემ არავინ ეხსნებოდა ფლანგზე, რათა მისთვის გაეყოლებინა ბურთი.

მოკლედ, არანაირი ეფექტი შეტევაში...

მარტო კვიპროსთან რომ ყოფილიყო ასე, კიდევ გვესმის, მაგრამ უკვე მერამდენე მატჩია, საქართველოს ნაკრები ნამდვილი ფლანგელი მცველების გარეშე თამაშობს. (უელსთან ალექსანდრე კვახაძის მარცხნივ დაყენება ხომ საერთოდ ანეკდოტი იყო). მხოლოდ იტალიასთან მოხდა, როცა ექტორ რაულ კუპერმა ჯერ ზაალ ელიავა, მერე კი დავით კვირკველია დააყენა. ელიავა ფორმაში არ იყო და ჩვეული სითამამე აკლდა, კვირკველიამ კი ნორმალურად ითამაშა, შეტევებში წასვლას არ ერიდებოდა, რადგან ეს საქმე იცის.

ფეხბურთი მუდმივად ვითარდება, ახალ-ახალი ელემენტებიც ჩნდება თამაშში, მაგრამ ჯერ არ გვახსენდება, მარჯვენა-მარცხენა მცველებად ცენტრალური მცველები დაეყენებინა რომელიმე მწვრთნელს.

კარგად გაგვიგეთ, კლასს არ ვადარებთ, მაგრამ რამხელა ეფექტს ქმნიდნენ ესპანელთა შეტევაში სერხიო რამოსი და ხუან კაპდევილა, გერმანიაში ფილიპ ლამი, ხორვატიაში ვედრან ჩორლუკა და დანიელ პრანიჩი, პორტუგალიაში ჟოზე ბოსინგვა, რუსეთში იური ჟირკოვი... რა გითხრათ, ყველა ნაკრებს და კლუბს ხომ არ ჩამოვთვლით?!

განაპირა მცველები ხშირად გარემარბობას ითავსებენ, ჩვენთან კი გარემარბობას ვინ ჩივის, მეტოქის ნახევარზე თუ გადავლენ, მიღწევაა. მაგრამ როგორ გადავლენ, როცა სინამდვილეში ისინი ცენტრალური მცველები არიან?!

არ გვყავს ნომინალური ფლანგელი უკანახაზელები? კი, ბატონო, კვირკველია ტრავმირებული იყო, მაგრამ მარცხნივ არ თამაშობენ გიორგი ფოფხაძე, ნუკრი მანჩხავა ან გიორგი ნავალოვსკი?!

ამიტომაცაა, ასე უცხოდ და ერთფეროვნად რომ გრძნობს ნაკრები თავს შეტევაში.

კუპერი თავისივე ხელით იკლებს სარგებელს...

**ილია ნანობაშვილი**

# საეჭვოა ლუსიუ და პლუს ანგელოვი

**დღეს** თბილისში ბულგარეთის ნაკრები ჩამოვა და მათ შორის იქნება გერმანული „კოტბუსის" სტანისლავ ანგელოვიც, ვინც იტალიასთან 11 ოქტომბრის მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა.

ჯერჯერობით საეჭვოა ნატურალიზებული ბრაზილიელის, ლუსიუ ვაგნერის ჩამოსვლა — მას ბარძაყის ტრავმა აქვს.

ექიმების თქმით, ტრავმა სერიოზული არ უნდა იყოს და ვაგნერი ალბათ თამაშს შეძლებს.

სათბილისო სია ასეთია:

*მეკარეები:* *დიმიტარ ივანკოვი (ბურსასპორი, თურქეთი), გეორგი პეტკოვი (ლევსკი);*

*მცველები:* *ჟივკო მილანოვი (ლევსკი), სტანისლავ მანოლევი (ლიტექსი), ვალენტინ ილიევი (ტერეკი, რუსეთი), ალექსანდრ ტუნჩევი (ლესტერი, ინგლისი), ივან ივანოვი (ცსკა), ლუსიუ ვაგნერი (ლევსკი), მიხაილ ვენკოვი (ლიტექსი);*

*ნახევარმცველები:* *მარტინ პეტროვი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), სტილიან პეტროვი (ასტონ ვილა, ინგლისი), სტანისლავ გენჩევი (ვასლუი, რუმინეთი), ჩავდარ იანკოვი (ჰანოვერი, გერმანია), სტანისლავ ანგელოვი (კოტბუსი, გერმანია), ველიზარ დიმიტროვი (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა), ბლაგოი გეორგიევი (სლავია);*

*თავდამსხმელები:* *ველინ პოპოვი (ლიტექსი), ზდრავკო ზდრავკოვი (ცსკა), დიმიტარ ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), დიმიტარ რანგელოვი (კოტბუსი, გერმანია).*

ბულგარეთის ნაკრების თავკაც პლამენ მარკოვის აზრით, მის გუნდს თბილისიდან სამი ქულის წაღება შეუძლია: „თუ საქართველოს ნაკრებს სათანადოდ შევაფასებთ და ისევე ვითამაშებთ, როგორც იტალიასთან, ვფიქრობ, კარგი შედეგის მიღწევას შევძლებთ. ქართველებს რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი ჰყავთ".

და ერთიც: ბულგარელები თბილისში შუადღისას ჩამოვლენ. 20 საათზე ეროვნულ სტადიონზე მარკოვი პრესკონფერენციას გამართავს, 20.30 საათზე კი ვარჯიშია, რომელიც 15 წუთით იქნება ღია.

**ბახა შალამბერიძე**

## საქართველოს 20 ჩემპიონატი — პირველი ლიგა, 7 ტური

### დასავლეთი

14 ოქტომბერი

**გურია — მერანი (მ)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჭიათურა | 7 | 5 | 1 | 1 | 16:4 | 16 |
| კოლხეთი | 6 | 5 | 1 | 0 | 10:3 | 16 |
| ბაია | 6 | 4 | 1 | 1 | 11:3 | 13 |
| სამტრედია | 7 | 4 | 1 | 2 | 12:6 | 13 |
| მერანი (მ) | 5 | 3 | 2 | 0 | 6:1 | 11 |
| ხობი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |
| გურია | 5 | 1 | 2 | 2 | 4:8 | 5 |
| ზესტაფონი 2 | 6 | 1 | 2 | 3 | 2:8 | 5 |
| ბათუმი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:14 | 5 |
| ტორპედო 2008 | 7 | 1 | 1 | 5 | 1:6 | 4 |
| მეშახტე | 6 | 0 | 1 | 5 | 3:13 | 1 |

### აღმოსავლეთი

**დილა 3:1 დინამო 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 7 | 4 | 2 | 1 | 18:6 | 14 |
| დინამო 2 | 7 | 4 | 2 | 1 | 12:7 | 14 |
| ამერი | 7 | 4 | 2 | 1 | 11:6 | 14 |
| დილა | 6 | 4 | 1 | 1 | 12:4 | 13 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 6 | 3 | 3 | 0 | 9:2 | 12 |
| სიონი 2 | 6 | 2 | 2 | 2 | 12:16 | 8 |
| თბილისი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | 7 |
| ნორჩი დინამო | 6 | 1 | 1 | 4 | 8:13 | 4 |
| გაგრა 2 | 7 | 1 | 1 | 5 | 8:16 | 4 |
| ჰერეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:14 | 4 |
| კახეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 3:12 | 3 |

### საბერძნეთი

II დივიზიონი

კასტორია 1:1 პიერიკოსი

### პოლონეთი

თასი

იაგელონია 3:2 ლოძი

ლეხი 1:0 გდანსკი

### შვედეთი

სუპერეტა

ჰეკენი 3:2 მიალბი

ლანდსკრონა 1:2 ანგელჰოლმსი

სირიუსი 2:2 იონკოპინგი

ვასბი 1:1 ბანკეფლო

### ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

შესარჩევი ეტაპი

ისლანდია 0:3 ავსტრია

შვედეთი 4:0 მაკედონია

ალბანეთი 1:2 ჩრდ. ირლანდია

ინგლისი 1:4 სერბეთი

### ამხანაგური მატჩი

ფიურტი 2:2 ვოლფსბურგი

### თურქეთი

I ლიგა

კასიმპასა 0:0 მანისა

### საფრანგეთი

II დივიზიონი

ლანსი 1:0 გენგამი

### ინგლისი

I ლიგა

ნოტსი 1:1 ბრენტფორდი

კონფერენსლიგა

ბარტონი 1:0 მანსფილდი

### იტალია

სერია B

ალბინოლეფე 1:1 პიზა

სერია C1/A

პადოვა 0:0 ვენეცია

### ირლანდია

თასი

დროჰედა 0:1 გლენტორანი

### აშშ

მეიჯორლიგა

გალაქსი 3:2 კოლორადო

ჰიუსტონი 0:0 DC იუნაიტედი



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# კვიპროსული ხინჯები
## ქეიფის ქალაქში მიკროფონიც ბევრს სვამს, ოღონდ... ჩაილურის წყალს!

**საქართველოს** ნაკრებმა ახალ შესარჩევ ციკლში პირველი საშინაო მატჩი გამართა კვიპროსთან და ჩვენს ქვეყანაში აგვისტოში განვითარებული მოვლენების გამო ყურადღება განსაკუთრებით იმაზე იყო გამახვილებული, როგორ დონეზე მოხერხდებოდა ამ თამაშის ორგანიზება.

რამდენიმე დღის წინ მთელმა საქართველომ შეიტყო, რომ ამ თამაშზე დასასწრებად ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი ჩამოვიდოდა და მატჩის დაწყებამდე სიტყვითაც გამოვიდოდა.

განსაკუთრებულ მზადებაში რა იგულისხმება, ვერ გეტყვით, თუმც შეხვედრას ორგანიზებულობა რომ აკლდა, ფაქტია.

მოგახსენებთ და თავად განსაჯეთ: რამდენიმე დღით ადრე სალაროსთან მისულთ ხვეწნა გვჭირდებოდა — იქნებ, ბილეთი მოგვყიდოთო...

...თუ ვინმემ ეროვნული სტადიონის ახლო-მახლო საქართველო — კვიპროსის მატჩის ერთი აფიშა მაინც შენიშნა, აუცილებლად შეგვეხმიანეთ...

პრესლოჟის შესასვლელთან მისულ ჟურნალისტებს კარგა ხანს არ გვიშვებდნენ — ვილაც ფორმიანი გვეუბნებოდა, აკრედიტაცია კი გაქვთ, მაგრამ მაინც უნდა ვიკითხო უფროსთან, შეგიშვათ თუ არაო. როგორც იქნა, უფროსმა დადებითი პასუხი „შემოგვაშველა" და პრესლოჟამდეც მივაღწიეთ...

და მთავარი გულისხეთქვა: ბლატერი სიკვდილის შემდეგ დიდი ნოდარ ახალკაცის ღირსების ორდენით დაჯილდოვების მერე სიტყვის სათქმელად მოემზადა. დიქტორმაც დაიწყო ამის გამოცხადება, მაგრამ ჯერ ერთმა მიკროფონმა არ გაამართლა, მერე მეორემ — მიკროფონებს „ენა ჩაუვარდათ".

სასაცილო იყო თუ სატირალი, თავად განსაჯეთ — „განსაკუთრებით მომზადებულებმა" მიკროფონის პრობლემა ვერ მოვაგვარეთ.

იტყვის კაცი, მიკროფონია და, ხომ შეიძლება, გაფუჭდესო, მაგრამ რამდენიმე თვის წინ მომხდარ ანალოგიურ შემთხვევასაც გავიხსენებთ: 3 ივნისს „ეროვნულზე" საქართველოს ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირის, შოთა არველაძის გაცილების მატჩი იყო.

გეხსომებათ, რა ვარსკვლავებიც გვესტუმრნენ და მაშინაც „განსაკუთრებით ვემზადებოდით". შოთას ყველა ეფერებოდა, ყველა ესიყვარულებოდა და ვარსკვლავები ტრიბუნების გასაგონად თბილ სიტყვებს არ იშურებდნენ, მაგრამ მაშინაც მიკროფონმა გვიმუხთლა (ისე, რას გვემტერება) — მიქაელ ლაუდრუპმა ხალხს ვერაფერი გააგონა.

რა გახდა ერთი ხარისხიანი მიკროფონის შეძენა?

თბილისში თითქმის ყველა რესტორანსა და ბარში ყოველდღე დიდი ღრეობაა და იქნებ მათ მაინც ვკითხოთ, რომელი მიკროფონი რომელს სჯობია?!

და ერთიც: ინტერნეტში მოძიებულის მოხედვით, ნორმალურ მიკროფონს 150 ევროდ იყიდი.

იქნებ, გვეფიქრა?!

**ნუკრი ლოლაძე**

# დე როსის კუნთის ორი პასუხი



**იტალიის** ნაკრები 11 ოქტომბერს სოფიაში ბულგარეთის გაეჯიბრა და უგოლო ფრეს დასჯერდა.

ამ შეხვედრაში „რომას" ნახევარმცველმა დანიელე დე როსიმ ტრავმა მიიღო და 15 ოქტომბერს ჩერნოგორიასთან ვერ ითამაშებს.

ნაკრების ექიმებმა მას კუნთის ტრავმა დაუდგინეს, თუმცა „რომას" ექიმებმა ეს დიაგნოზი არ დაადასტურეს. მიუხედავად ამისა, როგორც ამბობენ, დე როსის თამაში იტალიის ჩემპიონატის მომავალ ტურშიც საეჭვოა.

**ნუკრი ლოლაძე**

# იმედაშვილი სრულად დაბრუნდა

**კიევის** „დინამო 2"-მა პირველი ლიგის მე-13 ტურში ლუცკის „ვოლინთან" სტუმრად 1:1 ითამაშა.

ოთარ მარცვალაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 58-ე წუთზე შეცვალეს, ახალგამოჯანმრთელებული დავით იმედაშვილი კი სრულად გაისარჯა...

არ უთამაშია კიეველთა მესამე ქართველ კახა ალადაშვილს, რომელიც ტრავმირებულია.

**კახა ფალამბერიძე**

# კალა-ბიზნესი



ბადრი კეთილაძის ფოტო

**იტალიური** „მილანის" ქართველი ვარსკვლავის, კახა კალაძის კომპანია „კალა კაპიტალი" საქმიანობას ახალი მმართველი გუნდით გააგრძელებს — ეს კალაძემ „შერატონში" მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადა...

„მინდა, მადლობა ვუთხრა ზურაბ ნოღაიდელს, იმ ენერგიისა და კომპეტენციისთვის, რაც მან „კალა კაპიტალის" პროექტებს მოახმარა. ამიერიდან „არსენალ დეველოპმენტის" სამეთვალყურეო საბჭოს მე ჩავუდგები სათავეში. დაპირებული პროექტი კვლავ გრძელდება და აქტიურად ვმუშაობთ ამ მინიქალაქის განვითარებაზე. თუმცა, ამ პროექტში, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ სახელმწიფოს საიმედო პარტნიორად განვიხილავთ და მისი მხარდაჭერის იმედი გვაქვს...

...აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა დანარჩენ პროექტებზეც. „პროგრეს ბანკის" გახსნა ნოემბერში იგეგმება. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ცნობილი ბრიტანელი სპეციალისტი სტიუარტ მერდოკი უხელმძღვანელებს. ის 15 წლის განმავლობაში ბრიტანეთის წამყვან საინვესტიციო ბანკებში მუშაობდა".

ქართველმა ფეხბურთელმა უარყო გავრცელებული ხმები, თითქოს ის პოლიტიკაში აპირებს წასვლას და აღნიშნა, რომ ამ ნაბიჯის გადადგმას ჯერჯერობით არ აპირებს.

„ჩვენ ვსწავლობთ, რა ხდება „ყაზტრანსგაზში". ჯერჯერობით მიმდინარეობს მოლაპარაკებები და შესაძლოა, შევისყიდოთ ეს კომპანია. კონკრეტულს ჯერ ვერაფერს გეტყვით. ისე კი, ყაზახეთში მე ჩემი ინტერესები მაქვს" — განაცხადა კალაძემ.

**ნუკრი ლოლაძე**

# კახა კალაძე ნოემბრიდან

**საქართველოს** ნაკრებისა და იტალიური „მილანის" მცველი კახა კალაძე რომ ტრავმირებულია, გეცოდინებათ.

კახა თბილისში იყო და კვიპროსთან მატჩს სათადარიგოთა სკამიდან მიადევნა თვალყური.

მუხლის ტრავმა მან შვეიცარიულ „ციურიხთან" უეფას თასის მატჩისას მიიღო და როგორც იტალიელ ჟურნალისტებს უთხრა, სავარაუდოდ, ორ კვირაში განაახლებს ვარჯიშს...

„ახლა თავს ოდნავ უკეთ ვგრძნობ, ფიზიოთერაპიას გავდივარ და ყველა შესაძლებლობას გამოვიყენებ, რათა რეციდივები ავიცილო. ბოლო სამი დღეა, პროგრესი მეტყობა. სიარულის დროს ტკივილი აღარ მაქვს, რაც მაიმედებს, რომ მალე ყველაფერი კარგად იქნება".

**ნუკრი ლოლაძე**

# მატერაცი VS ზიდანის ქართული ვერსია

**მარკო მატერაცის** წიგნი, „რა ვუთხარი სინამდვილეში ზიდანს", ქართულად ითარგმა და გამოიცა, ეს საქმე ფეხბურთის ცნობილმა ქომაგმა ალეკო კაკულიამ ითავა.




ამ წიგნის თაობაზე „სარბიელს" ადრეც დაუწერია. მასში მოცემულია 250 ვერსია იმისა, თუ რა უთხრა სინამდვილეში მატერაციმ ზიდანს ისეთი, ფრანგის გაცეცხლება და უცნობილესი თავური რომ მოჰყვა. ოღონდ ამ 250 ფრაზას შორის ნამდვილი არ არის — ეს, უბრალოდ, სალაღობო წიგნია, რომელიც მიზნად მკითხველის გამხიარულებას და ზიდანის კიდევ უფრო გაბრაზებას ისახავს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## geo_geo_fan@hotmail.com

# კუპერი მართალია, მაგრამ ასათიანი ძალიან გვჭირდება!

## ამას გვიმალავდით მთელი კვირა?!

**L. JORJADZE:** ამთავითვე ვიტყვი: საქართველოს ნაკრების თამაში, უფრო კი შესრულება, არა, ხოლო მწვრთნელ ექტორ რაულ კუპერის ტაქტიკური მონახაზი, უფრო კი ჩანაფიქრი საკმაოდ მომეწონა.

ამდენად, ვიტყვი სწორედ ტაქტიკურ ჩანაფიქრზე, რომლის დახვეწისა და სათანადო შემსრულებლების მოძებნის შემთხვევაში, ვფიქრობ, ნაკრების თამაში დამაკმაყოფილებელი იქნება, შესაბამისად, მოვა შედეგიც, რომელსაც ასე დანატრებულები ვართ.

საქართველოს ნაკრებმა ითამაშა კუპერის საყვარელი მონახაზით — 4-5-1, უფრო ზუსტად, 4-2-3-1-ით. ამ სქემაში თვალშისაცემი იყო ლევან კობიაშვილის ახალი ამპლუა — წინ წაწეული ნახევარმცველობა, რაც უდავოდ საინტერესო გადაწყვეტილებაა. თუ კლუბში და ნაკრებში კობიაშვილი ყოველთვის თამაშობდა ან მარცხენა მცველად, ან მარცხენა ნახევარმცველად, ან ჩამშლელ, საყრდენ ნახევარმცველად, აი, ათ ნომერზე მისი თამაში მოულოდნელიც იყო და... წარმატებულიც. კობი იქცა ყველაზე შესამჩნევ ფიგურად კვიპროსთან თამაშის დროს და მწვრთნელის აშკარად გაუმართლა. თუმცა ამ პირობებში დაიკარგა ახალი ფორმაციის საქართველოს ნაკრებში ამ პოზიციაზე, ანუ მეათე ნომრად საკმაოდ ხშირად მოთამაშე ლევან ყენია, რომელსაც, კობიაშვილის წინ წაწევის გამო მარჯვენა ნახევარმცველის ფუნქცია დაეკისრა. ამ ამპლუაში ყენია კვიპროსთან თამაშისას თითქოს დაიკარგა, თუმცა, ეს უფრო მის მცირე ტრავმას უნდა მივაწეროთ და არა არასწორ სათამაშო ადგილს. კობის კი, რომელსაც არც უკან დახევა ეთაკილება და შავ სამუშაოსაც ასრულებს, ვფიქრობ, სწორედ ის ადგილი მიანიჭეს, რომელზეც ის ნაკრებში ყველაზე სასარგებლო შეიძლება იყოს, თუ მით უფრო, ჩამშლელებსაც ხანდახან დაეხმარება. ადრე ეს ადგილი ჰქონდა კობიზე გაცილებით ტექნიკურ გიორგი ქინქლაძეს, რომელიც უკან პრაქტიკულად არ იხევდა.

ამის გათვალისწინებით, აღმოჩნდა, რომ კვლავაც გვიჭირს კლასიკური ჩამშლელისა და ბურთის მოკლე პასით ამომტანის ფუნქციის შემსრულებელი ფეხბურთელების მოძებნა. კვიპროსთან მატჩში ეს მენთეშაშვილ-რაზმაძის დუეტს ეკისრებოდა და მათ დავალებას აშკარად ვერ გაართვეს თავი. მეტიც, იმის გამო, რომ ამ ფეხბურთელებს აშკარად არ ეყოთ ტექნიკური არსენალი, ანუ ვერ შეასრულეს მწვრთნელის დავალება, იძულებულები ხდებოდნენ, გრძელი დიაგონალური ან უფრო ხშირად პირდაპირი პასით გადაეტანათ ბურთი მოწინააღმდეგის ნახევარზე, სადაც ლევან მჭედლიძე იბრძოდა — მას ამ ვარიანტში ბურთი უნდა მოეგო, უკან კობიაშვილისთვის დაეგორებინა, რომელიც გაშლიდა თამაშს ფლანგებზე. მჭელიძე ამ ფუნქციას ვერ ასრულებდა, ხშირად ჯარიმდებოდა და მენთეშაშვილ-რაზმაძის „ჩანაფიქრიც“ იშლებოდა. იმთავითვე ჩაშლილი კი კუპერის ჩანაფიქრი იყო, ნახსენებ დუეტს კობიაშვილისთვის ან იაშვილ-ყენიასთვის მოკლე პასები უნდა მიეწოდებინა. გასაგები იყო კუპერის ჩანაფიქრი, შემსრულებლებმა ვერ ივარგეს...

ამ ლოგიკიდან გამომდინარე, თუ კუპერი ამ სქემას ირჩევს, სასურველი იქნება, პატივისცემის მიუხედავად, მენთეშაშვილს აღარ დააკისროს ამომტანის ფუნქცია, ახალგაზრდა რაზმაძე მხოლოდ სათადარიგოდ დაიტოვოს, ხოლო მის ადგილზე დააყენოს მალხაზ ასათიანი. მენთეშაშვილის ადგილას კი, რასაკვირველია, შეიძლება ჯაბა კანკავას დაყენება, რომელიც დიდი რესურსია ჩვენი ნაკრებისთვის. ამ ამპლუაში კარგი იქნებოდა ნაკრებიდან დროებით მოკვეთილი გოგიტა გოგუას განხილვაც, მაგრამ, ის იმდენად ხისტია, რომ, ბუნებრივია, კუპერი ვერ გარისკავს საკვანძო ფეხბურთელად მის დაყენებას, გოგუას უფრო მარცხენა ნახევარმცველად ვისურვებთ, იქ, სადაც ახლა თამაშობს ალექსანდრე იაშვილი.

სწორედ ასათიან-მენთეშაშვილის (იდეაში ასათიან-კანკავას) დუეტის შექმნა იქნება საწინდარი, რომ კუპერის დავალება განხორციელდეს, ანუ, მოკლე პასით გადავიდეს ბურთი მეტოქის ნახევარზე კობიაშვილისკენ ან განაპირა ნახევარმცველებისკენ. სწორედ ასათიანის ამ ამპლუით დაბრუნება აგვაცილებს კვიპროსთან თამაშის დროს ყველაზე თვალშისაცემ შეცდომას, გრძელ პასს მჭედლიძეზე, რომელსაც, გავმეორდები, კორპუსით უნდა მოეგო მეტოქის მცველებისთვის, უკან უნდა დაებრუნებინა ბურთი კობიაშვილისთვის, რომელსაც თავის მხრივ, უნდა გადაენაწილებინა მარცხნივ იაშვილისთვის ან მარჯვნივ ყენიასთვის. მოკლე პასით ამომტანის ფუნქციას ამ ფორმაციის ნაკრებში ასათიანზე უკეთ ვერავინ შეასრულებს.

სხვათა შორის, ამგვარ არჩევანს მეტ-ნაკლებად გამოვყავართ ტრავმიანობის დროს შექმნილი ვითარებიდანაც — თუ ვერ თამაშობს კობიაშვილი, მის ადგილას იწევს ასათიანი, ხოლო ასათიანის ადგილს იკავებს კანკავა ან მენთეშაშვილი, გააჩნია.

ახლა რაც შეეხება გარემარბებს — ყენიას და იაშვილს. პატივისცემის მიუხედავად, „იაშკა“ მაინც სათადარიგო ფეხბურთელად წარმომიდგენია, ხოლო მარცხნივ ან დავით კვირკველიას, ან ნახსენები გოგუას, ან ნათამაშები ბექა გოცირიძის გამოყენება მიგვაჩნია უპრიანად მხოლოდ, იმის გათვალისწინებით, რომ ორივე ფლანგის ნახევარმცველი ერთგვარი ცეცხლის დამნთები-იქნება, რაც კარგად გამოსდის ხოლმე ყენიას, საკმაოდ კარგად გამოუვიდა გოცირიძეს, გამოსდის კვირკველიას და გამოსდის გოგუასაც, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკური არსენალი არც თუ მდიდარი აქვს.

და კიდევ, ეს ნახევარმცველები ერთმანეთს ადგილს არც თუ იშვიათად უნდა უცვლიდნენ.

აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს ზაალ ელიავაც.

დაცვა ალბათ ყველაზე დიდი პრობლემაა — შეუცვლელი კახა კალაძის მოხშირებული ტრავმიანობა ერთგვარ განსაცდელს გვაძლევს და გადაჯგუფება საკმაოდ რთულია. ცენტრალურ მცველებად ვასახელებ ოთხ კანდიდატურას და მხოლოდ იმ შემთხვევაში „ვიწვებით“, თუ ოთხიდან სამი იქნება დამტვრეული. ესენი არიან — კალაძე, სალუქვაძე, ხიზანიშვილი და დინამოელი კაშია, რომელსაც კუპერი დღეს არა და ხვალ ალბათ მაინც ენდობა.

გაცილებით პრობლემურია განაპირა მცველები — მარჯვენა მცველად უჩა ლობჟანიძის გამოყენება მაშინაა კარგი, თუ მოწინააღმდეგეს არ ჰყავს სწრაფი გარემარბები, ხოლო როდესაც კვიპროსის მსგავს გუნდებს ვხვდებით, აქ უფრო სწრაფი და მობილური მცველების გამოყენებაა უპრიანი. ამგვარი ტიპის მცველი დღეს აშკარად არ გვყავს. მათე ღვინიანიძე სანაზავია (მათ შორის, საყრდენ ნახევარმცველადაც, ანუ მენთეშაშვილის ადგილზეც), ხოლო მარცხენა ფლანგი აშკარად ჩავარდნილია და იძულებულს გვხდის, მარცხენა ნახევარმცველებად დასახელებული კანდიდატებიდან ერთი (გოცირიძის გარდა) გამოვიყენოთ, ან კვლავაც ვენდოთ გიორგი შაშიაშვილს და საქმეში ვნახოთ ოთარ ხიზანეიშვილი, რომელიც მაინც უფრო ოთხი ნომერია, ვიდრე ხუთი.

თავდამსხმელად შეუცვლელი არა, მაგრამ ძირითადის მოთამაშეა მჭედლიძე, რომელსაც მისივე ყაიდის დავით სირაძე და ოდნავ სხვანაირი რატი ალექსიძე სათანადოდ შეცვლიან. ერთი ეგაა — განაპირა ნახევარმცველების აქტიურობის გათვალისწინებით, სასურველია, მჭედლიძე არა ბურთის უკან დამბრუნებელი, არამედ სწორედ „ტარანი“ ფუნქციით იყოს დაკავებული, ანუ სახით მეტოქის კარისკენ, სადაც მას, სიმაღლის გათვალისწინებით, ნებისმიერი ბრძოლის მოგება შეუძლია.

შოთა არველაძის ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ, ჩვენ არ გვყავს შემქმნელ-დამგვირგვინებლის ტიპის ფეხბურთელი და მხოლოდ დამგვირგვინებლით უნდა შემოვიფარგლოთ. ამ ადგილზე მჭედლიძისგან განსხვავებული ყაიდის ფეხბურთელია ალექსიძე, თუმცა, მისი ტექნიკური არსენალი საკმაოდ მდიდარია და ეს ძალიან კარგია.

სულ ეს იყო, რისი თქმაც მინდოდა. ვიმეორებ, კუპერის ჩანაფიქრი საინტერესო და მოსაწონი იყო, მხოლოდ ფეხბურთელებმა „ვერ ივარგეს“, ისიც ნაწილობრივ, რადგან დატოვეს იმედი, რომ მწვრთნელის დავალების გაგების შემთხვევაში, ნაკრებს წარმატების დროც დაუდგება.

და ბოლოს, თავად კუპერმაც უნდა გადახედოს გადაწყვეტილებას ასათიანთან მიმართებაში. ვფიქრობ, ის ამ საკითხში უცოდველია, მაგრამ, როგორც უფროსს, როგორც ძალაუფლების მქონეს, შესაძლოა, სწორედ მას უნდა მართებდეს პირველი ნაბიჯის გადადგმა. და რა თქმა უნდა, ასათიანიც ადეკვატური უნდა იყოს — მან ერთი შეცდომა უკვე დაუშვა, მეორე შეცდომა კი კუპერის სქემას ხელს შეუშლის, ხოლო ასათიანის სანაკრებო კარიერას კუპერის პერიოდში დაასამარებს.

**KAKICH:** აი, სრული კრახი! წასაგები თამაში იყო 100 პროცენტით!

არ მინდა, ძაან უხეშად რომ გამომივიდეს, მაგრამ მაინტერესებს, ასეთი დაცვის და ნახევარდაცვის თამაშით კმაყოფილია თუ არა ექტორ რაულ კუპერი.

ძაან დაბალი დონის ფეხბურთს თამაშობს საქართველოს ნაკრები. არ იყო მოგების ღირსი და არც ამ ფრის ღირსი. ერთადერთი, მეკარეს უნდა უმადლოდნენ, რომ ქულა მოგვიპოვა. ეს არის ლომაიას პირადი ქულა!!!

ძალიან ეტყობა ხიზანიშვილს კლუბში უთამაშებლობა, მენთეშაშვილს ძალიან უჭირს მწვრთნელის დავალებების შესრულება, ფლანგები საერთოდ არ გვყავს.

ნახევარდაცვა სრულიად პარალიზებულ, ალცგეიმერით დაავადებულ ადამიანს წააგავს. შეტევაში არ ვამბობ ორს და ხუთს, უკვე ერთი ზუსტი პასი გვენატრება.

შეიძლება, ზედმეტად კრიტიკულიც გამოვდივარ, მაგრამ რაც ვნახე ჩემი თვალით, ესაა და რა ვიცი...

**PARTISAN777:** სალამი „სარბიელს“!

ესაა კუპერის ბიჭები?! ამით ერთობა კუპერი?! ამას გვიმალავდა მთელი კვირა?!

რა ვქნა, არ ვიცნობ ნაკრებთან დაახლოებულ ინფორმირებულ მავანს და ვერ გავიგე, ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანა უმისამართო ჩაკიდებებით კუპერის დავალება იყო თუ მოთამაშეებმა სხვა ვერაფერი მოიფიქრეს.

მოკვდა მჭედლიძე სირბილით და ხტუნვით. ყენიას, ფლანგზე დაყენებით რას ერჩიან, არც ეგ მესმის. ისე, კიდევ კარგი, მეორე შემთხვევითი გოლიც არ გავიტანეთ. დაიწყებოდა მერე ეიფორია და დითირამბები — თამაში შემოვატრიალეთ, ქართული come back და ა.შ.

არ მინდა, პესიმისტურად განვეწყო, მაგრამ გული ცუდს მიგრძნობს. მგონი, ჩვენი ურემი ბულგარეთთან გადატრიალდება.

თუმცა ამაში ოპტიმისტურიც არის, გზა ხომ გამოჩნდება...



ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯანკარლო აბეტე



# სვასტიკებიანი სტვენა

## სოფიაში მეორე მსოფლიო ომის ახალი ფრონტი გაიხსნა



მაია ჯიჯავა რომიდან

11 **ოქტომბერს** სოფიაში გაიმართა 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ბულგარეთსა და იტალიას შორის (0:0).

შეხვედრის დაწყებამდე ყველაზე ამაღელვებელი მომენტი მონაწილე ქვეყნების ჰიმნების აჟღერებაა და, რა თქმა უნდა, ტრადიციულად, პირველად სტუმარი გუნდის ჰიმნი ისმის. ამ მხრივ გამონაკლისი, ბუნებრივია, არც „ლევსკის" სტადიონი ყოფილა, თუმცა...

მინდორზე ორივე გუნდის ფეხბურთელები ჩამწკრივდნენ და აი, გაისმა იტალიის ეროვნული ჰიმნი... უფრო სწორად — გაისმა გამაყრუებელი სტვენის ხმა...

ხმაური იმდენად ძლიერი იყო, რომ ჰიმნი სრულიად დაფარა, მინდორზე მდგომი მსოფლიოს ჩემპიონების სახეზე კი გაოგნება და გაოცება გამოიხატა, თუმცა ამის მიუხედავად, „სკუადრა აძურას" ფეხბურთელები არ დაიბნენ და ჰიმნს აჰყვნენ. ცხადია, ამაო იყო მათი განწირული მცდელობა, გადაეფარათ ბულგარელი ქომაგების მიუღებელი საქციელი.

რამდენიმე წუთიც და, უკვე ბულგარეთის ეროვნული ჰიმნი აჟღერდა, რის შემდეგაც შეხვედრა დაიწყო.

ამის პარალელურად კი, ტრიბუნებზე, სადაც აპენინელი გულშემატკივრები ისხდნენ, ჩოჩქოლი ატყდა და საქმეში ბულგარელი სამართალდამცავებიც ჩაერივნენ.

ერთადერთი, რაც იმ მომენტში ჩანდა, ის იყო, რომ ბულგარელი გულშემატკივრის ნაწილი იტალიელი ტიფოზებისკენ საჩხუბრად იწევდნენ.

მთელი შეხვედრის მანძილზე იტალიელი კომენტატორები და ჟურნალისტები ამაოდ ცდილობდნენ, დაედგინათ, რა მოხდა სტადიონზე ეროვნული ჰიმნების აჟღერებისას და რატომ ჩადგა იტალიელ და ბულგარელ გულშემატკივრებს შორის პოლიციელების აურაცხელი, მართლაც წარმოუდგენელი ოდენობის კორდონი.

ტრადიციულად, ნამატჩევს იტალიურმა ტელევიზიამ პირდაპირი ჩართვები განახორციელა „სკუადრა აძურას" ფეხბურთელებთან, თუმცა ერთადერთი კითხვა, რაც ჟურნალისტებს აინტერესებდათ, ტრიბუნებზე განვითარებულ მოვლენებს უკავშირდებოდა.

სიმონე პეპე: „ნაკრებში დებიუტისას ფეხბურთელს ყველაზე მეტად სწორედ ჰიმნი ამახსოვრდება. სამწუხაროა, რომ ეს ცოტათი ჩამაშხამეს, თუმცა იმდენად ვიყავი კონცენტრირებული, რომ დიდი ყურადღება არ მიმიქცევია ამ უსიამოვნო ფაქტისთვის."

ჯენარო გატუზო: „არა აქვს არანაირი გამართლება ჩვენი ეროვნული ჰიმნის შეურაცხოფას. შეიძლება უსტვინო ფეხბურთელს, ნაკრებს, მწვრთნელს, მაგრამ არა ჰიმნს, ეს ყოვლად მიუღებელია!"

მარკო ამელია: „უბრალოდ, გული დამწყდა, როცა ჰიმნს უსტვენდნენ. თამაში რომ დაიწყო, დავინახე, ტრიბუნაზე რაღაც ხდებოდა, ვცადე, გამეგო, რაში იყო საქმე, თუმცა ამის დრო არ იყო. ამიტომაც კონცენტრაცია თამაშზე გავაკეთე. იმედია, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა".

აი, ასეთი კომენტარები გააკეთეს მატჩის შემდეგ იტალიის ნაკრების ფეხბურთელებმა, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველას ძალიან აინტერესებდა, რა მოხდა სინამდვილეში.

რეალურად კი სიტუაცია გაცილებით რთულად იყო, ვიდრე ეს ფეხბურთელებსა და ჟურნალისტებს ეგონათ.

უთანხმოება ბულგარელ და იტალიელ გულშემატკივრებს შორის მატჩამდე დაიწყო.

როგორც ბულგარელები ამბობენ, შეხვედრის დაწყებამდე ასამდე იტალიელი ტიფოზი სოფიის ცენტრში ბულგარეთის პარლამენტის ახლომდებარე ბარში ისხდნენ, როდესაც იქ მასპინძელი ქომაგების შევიდა. მათ მაისურებზე ნაცისტური სვასტიკები ჰქონდათ დახატული და იტალიელებს ჯერ ფაშისტურად მიესალმნენ, შემდეგ ნაცისტები უწოდეს, ბოლოს კი ერთ-ერთ აპენინელ ტიფოზს იტალიის დროშა, წარწერით „ფორცა აძური", წაართვეს და თვალწინ დაუწვეს.

ბუნებრივია, ეს ფაქტი აძურელმა ქომაგებმა შეურაცხოფად მიიღეს და ცოტა ხანში ბარში ხელჩართული ჩხუბი ატყდა.

სამაგიეროს გადახდის მიზნით, ერთმა იტალიელმა ტიფოზმა ბულგარელების მსგავსად, ცეცხლი მათ დროშასაც წაუკიდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ პოლიციელები, რომლებმაც მხოლოდ იტალიელი ფანები დააკავეს და პოლიციაში წაიყვანეს.

ბარში მომხდარმა ინციდენტი მოგვიანებით სტადიონზე გაგრძელდა და როდესაც ბულგარელმა ქომაგებმა იტალიელების ჰიმნი შეურაცხყვეს, მსოფლიოს ჩემპიონების თხუთმეტიოდე გულშემატკივარმა ტრიბუნაზე ფაშისტური ჰიმნი წამოიწყო. ზოგი მათგანი „დუჩე, დუჩესაც" გაჰყვიროდა და ბულგარელებს კომუნისტებს ეძახდა.

ერთი სიტყვით, საფეხბურთო მატჩი მეორე მსოფლიო ომის ფრონტის ხაზს დაემსგავსა და ამ გაწევ-გამოწევაში ვინ იყო კომუნისტი და ვინ ფაშისტი, ან საერთოდ რა შუაში იყო ფეხბურთი ერთთან ან მეორესთან, გაუგებარი დარჩა...

სოფიაში განვითარებული მოვლენები მეორე დრეს იტალიელი პოლიტიკოსების დაპირისპირების საგნად იქცა. იტალიის თავდაცვის მინისტრმა ინიაჩო ლა რუსამ ბრალი საკუთარ ქომაგებს დასდო: „რაც არ უნდა მომხდარიყო გუშინ სოფიაში და რაც არ უნდა ექნათ ბულგარელ გულშემატკივრებს, ეს იტალიელი ტიფოზების საქციელს არ ამართლებს. სამარცხვინოა ოცდამეერთე საუკუნეში ფაშისტური ჰიმნის ღიღინი და ნაცისტური მისალმება. ისინი ქვეყნის პრესტიჟს შეურაცხყოფენ და ნამდვილ ტიფოზებს აზარალებენ ისევე, როგორც სრულიად იტალიას".

ნეიტრალური პოზიცია არჩია იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა რობერტო მარონიმ: „ჩვენ დეტალურად გამოივიძიებით ამ საქმეს და თუ იტალიელი ქომაგები დამნაშავენი არიან, ისინი აუცილებლად აგებენ პასუხს. თავისთავად ფაშისტური გამოვლენები ყოვლად დასაგმობია, ისევე, როგორც ეროვნული ჰიმნის შეურაცხყოფა."

ქომაგების დაცვა ითავა იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპორტული მანიფესტაციების დირექტორმა დომენიკო მაცილიმ: „უსამართლოა, ყოველთვის ყველაფერში იტალიელებს დავდოთ ბრალი. რატომ უნდა დაისაჯონ ტიფოზები, რომლებიც არაფერშუაში არ არიან ამ ინციდენტთან?! ჩვენ ვართ ქვეყანა, სადაც მთელ ევროპაში ყველაზე მეტი უცხოელი ცხოვრობს არალეგალურად და საბოლოო ჯამში მაინც ნაცისტები და ფაშისტები გამოვდივართ. იმის ნაცვლად, რომ უდანაშაულო გულშემატკივარი, რომელთა საქციელიც პროვოკაციის პასუხი იყო, დავიცვათ, დებატებს ვმართავთ და ქომაგებს ვადანაშაულებთ. მაშინ, როდესაც არავინ საუბრობს იტალიის ჰიმნის შეურაცხყოფაზე, რაც გაცილებით დიდი დანაშაულია, ვიდრე ერთი ან ორი ქომაგის ფაშისტური მისალმება."

ბულგარეთში განვითარებული მოვლენების კომენტარი იყო პირველი, რაზეც ისაუბრა „სკუადრა აძურას" მთავარმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმაც: „მე, რა თქმა უნდა, მესმოდა ის გამაყრუებელი სტვენა, რაც იტალიის ჰიმნის აჟღერებისას ისმოდა და ეს ძალიან სამწუხარო ფაქტია. ეს აღარ უნდა განმეორდეს არც ერთ ქვეყანაში და არც ერთი ქვეყნის ჰიმნის შესრულებისას. სამწუხაროდ, არ ვიცი, ზუსტად რა მოხდა გულშემატკივრებს შორის, მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო, არ მინდა, კომენტარი გავაკეთო. ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედის."

საბოლოო ჯამში კი ორდღიანი დისკუსიის შემდეგ, დღეს რომში იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯანკარლო აბეტემ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის, რაც მოხდა, ყოვლად მიუღებელია და ფედერკალჩო იტალიელ ტიფოზებს გასვლითი მატჩების ბილეთებს აღარ მისცემს."



სოფიური დყა-დყა

საქართველოს პრეფერანსის ფედერაცია აწყობს ეროვნულ ჩემპიონატს, 18-19 ოქტომბერს ჭადრაკის სასახლეში.
რეგისტრაცია იწყება 16 ოქტომბრიდან.
საკონტაქტო ტელეფონი 899 11 14 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ანშომ დაასრულა

**შვეიცარიელმა** მცველმა სტეფან ანშომ კარიერის დასრულების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. 34 წლის ფეხბურთელმა ბოლო ორი სეზონი „ბლექბერნ როვერსის" შემადგენლობაში გაატარა, თუმცა მაისში „ვარდების" ხელმძღვანელობამ მასთან კონტრაქტი გაწყვიტა.

ანშომ კარიერის განმავლობაში 389 მატჩში მიიღო მონაწილეობა, თავისი საუკეთესო წლები კი „ლივერპულისა" და „ჰამბურგის" რიგებში გაატარა. სტეფანმა ნაკრებშიც საკმაო მატჩები ჩაატარა (72) და ეროვნულ გუნდთან ერთად ევროპის ორ ჩემპიონატზეც ითამაშა.

## ფაბიოს გეგმები

**მადრიდის** „რეალისა" და იტალიის ნაკრების მცველი ფაბიო კანავარო უახლოეს მომავალში „სამეფო კლუბის" დატოვებას არ აპირებს, თუმცა მისი აგენტები ამტკიცებენ, რომ ფეხბურთელი სამშობლოში დაბრუნებას გეგმავს.

„ამ მხრივ მშვიდად ვარ. წლის ბოლოს კლუბის ხელმძღვანელობას კონტრაქტის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით დაველაპარაკები. წასვლას ჯერჯერობით არ ვაპირებ, თანაც მადრიდში ცხოვრება ჩემს ოჯახსაც მოსწონს" — განაცხადა კაპელომ.

## ნარინჯისფერი ტრავმები

**ჰოლანდიის** ნაკრების ფეხბურთელები — მცველი ჯონ ჰეიტინგა და ნახევარმცველი ნაიჯელ დე იონგი — თავიანთ ნაკრებს ნორვეგიელების წინააღმდეგ გასამართ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ვერ დაეხმარებიან. ჰეიტინგამ მუხლის ტრავმის გამო ისლანდიასთან შაბათის შეხვედრაშიც ვერ ითამაშა, დე იონგმა კი სწორედ ამ მატჩში დაიშავა მუხლი. სკანდინაველებთან რობინ ვან პერსის თამაშიც საეჭვოა.

## კუზმანოვიჩს მილანში უნდა

**ფლორენციის** „ფიორენტინას" სერბ ნახევარმცველ ზდრავკო კუზმანოვიჩს მომავალში „მილანში" გადასვლა სურს, სადაც მისი კერპი ანდრეა პირლო თამაშობს.

„ამჟამად „ფიორენტინას" მაისურით გამოსვლით ბედნიერი ვარ, თუმცა არ დავმალავ, რომ მომავალში „მილანში" გადასვლა მსურს. სწორედ ამ კლუბში გამოდის ჩემი კერპი ანდრეა პირლო. მილანში გადაბარგება იმიტომაც მინდა, რომ ეს ქალაქი ჩემს მშობლიურ ბელგრადთან ახლოსაა" — თქვა ზდრავკომ.

## ინგლისი და ესპანეთი ვერ თანხმდებიან

**ინგლისისა** და ესპანეთის ნაკრებები ამხანაგური შეხვედრის ჩატარების ადგილზე ვერ თანხმდებიან. ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია მატჩის მადრიდში გამართვის კატეგორიული წინააღმდეგია. ალბიონელთა მტკიცებით, 2001 წელს „სანტიაგო ბერნაბეუზე" შემდგარ შეხვედრაში ესპანურმა ინჩადამ ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებს რასისტული შეურაცხყოფა მიაყენეს. მატჩი, სავარაუდოდ, 11 თებერვალს უნდა გაიმართოს.

## ოდო ყოფილი კლუბის შესახებ

**რომის** „ლაციოს" ყოფილი კაპიტანი მასიმო ოდო თვლის, რომ „ბიანკოჩელესტის" ამ სეზონში მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა სავსებით შეუძლია.

„ლაციოდან" ჩემი წასვლის შემდეგ, იქ ბევრი რამ შეიცვალა. კლუბში ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელები გამოდიან, რომელთაც შესანიშნავი მწვრთნელი (დელიო როსი) უდგათ სათავეში. ვფიქრობ, რომ ახლანდელ „ლაციოს" უმაღლესი ადგილებისთვის და, მათ შორის, სკუდეტოსთვისაც შეუძლია ბრძოლა" — აღნიშნა ოდომ, რომელიც ამჟამად „მილანის" საკუთრებაა, მაგრამ მიუნხენის „ბაიერნში" იჯარის წესით იმყოფება.

## შუსტერი იმედს არ კარგავს

**მადრიდის** „რეალის" მთავარი მწვრთნელი ბერნდ შუსტერი არ კარგავს იმედს, რომ მომავალში „სამეფო კლუბი" „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველ კრიშტიანუ რონალდუს შეძენას შეძლებს.

„ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს ფეხბურთელი დავისაკუთროთ. ვფიქრობ, წელს ამის შესრულება რთული იქნება. რონალდუს სანაცვლოდ უზარმაზარი თანხის გამოყოფა მოგვიწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმატებას ნამდვილად ვერ მივაღწევთ. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ მომავალი ზაფხულისთვის მისი სატრანსფერო ფასი დაიწევს" — ბრძანა გერმანელმა სპეციალისტმა.

## რაფამ კუიტი შეაქო

**პრემიერლიგის** „ლივერპულის" ესპანელმა დამრიგებელმა რაფაელ ბენიტესმა ჰოლანდიელი თავდამსხმელი დირკ კუიტი მერსისაიდელთა საკვანძო მოთამაშედ დაასახელა.

„მას თანაგუნდელების საოცრად კარგად ესმის, ეს კი, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის. კუიტის დარ ფეხბურთელებს „საკვანძო" მოთამაშეებს უწოდებენ. ყველა კლუბს სჭირდება მშრომელი ფეხბურთელი, რომელიც საკუთარ თავზე მთელ „ბინძურ" სამუშაოს აიღებს. დირკი არა მხოლოდ გოლებს იტანს, არამედ უკან დაწევა და დაცვაც შეუძლია" — შეაქო თავისი შეგირდი რაფამ.

**არჩილ ძოგახიძე**

ცოცხლიზაცორი

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი წყვილი შედეგი კოეფ-ტი სისტ

— სათვალე უნდა მოვხსნა და ჩემი წაგებული ბილეთები ყურებზე ჩამოვკიდო, ტო, მაგ ნაპიცარ მაკარონჩიკს, მაგას...

— ვინ გაწყენინა ძმაო...

— შენი კაიფი მინდა ტო?! მაწყენინა კი არა, ათ კუბომეტრ ფულს ვიგებდი, იცი რამდენია ათი კუბი?

— რამდენი?

— მთელ მსოფლიოს ფინანსური კრიზისიდან ამოათრევს, ტო!

— ეგეთი რა გეწერა, რო...

— რა აღარ მეწერა... პოლონეთის თასზე ექვსი ნიჩია დავსვი, ფინეთის მეორეში „გრანკულა"— „ჯიპოს" ტაიმბოლი დავიჭირე, გერმანიის კალათბურთში „ლუდვიგსბურგი"— „ბრაუნშვაიგის" 30 და მეტი მოხნა...

— საღოლ, ძმაო და რაღამ გაგიმაზა?

— აღარ მინდა, რა, გახსენება... ვინა, ტო! ვინა! კუკეევი? ბალტიევი? იბრაევი და ნუსარბაევი?

— ყაზტრანსგაზის სასტავია?

— პროსტააამც, იმ ყბაგამოზნექილ კაპელოს ტვინი ეტყობა ყბაში გაეპარა, ან კიდე ყომარობს, რა!

— ინგლისი — ყაზახეთი გეწერა? მერე ხო მოიგო, ძმაო, რას ერჩი...

— შენ კაპელოს ბიძაშვილი ხო არა ხარ, ტო! მაგას მოგებას ეძახი? ლამპარდმა, ჯერარდმა, რუნიმ და უოლკოტმა ნურსულთან ნაზარბაევი ფუტბოლში ვერ დაჩაგრეს და პირველ ტაიმში გოლი რო ვერ გაუტანეს, გჯერა, ტო?

პროსტაამც, შეადარე, რა! უეინ რუნი და კუკეევი, ან ფრენკ ლამპარდი და აბდურახმან ბალტიევი... შეადარე? თუ ვერ ტვინავ?

ეგრეა, ტო, ეგრე... ინგლისის პირველი ტაიმის მოგება მეწერა და იმ ყბაკაცამ ზაკაზად არ მოიგო პირველი, იმიტო რო მაფიოზი ერიკსონისა და მაკლარენის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელია.

— აუ, პირველი ტაიმი რამ ჩაგაწერინა, შე თვითონ კუკეევო, არ გახსოვს ინგლისი — ანდორა? იქაც ხო ნოლ-ნოლ იჩალიჩა კაპელომ პირველი ტაიმი. ეგ როგორ ვერ მოწვი, ძმაო, ჩემთვის მაინც გეკითხა...

— შენთვის რა უნდა მეკითხა, ტო! შენ არ იყავი, ფარერები — ავსტრიის ლაბავოი ორიანს რო მიტენიდი ბილეთში?

— მე რა ვიცი, სექტემბერში ფრანგებს ტრი აძინ გადაურბინეს და ფარერებისთვის არ უნდა მოეგოთ? ცვეტში ორიანი იყო...

— მაგ ავსტრიის ტრენერი ბრიუკნერიც მაგარი კაპელოა. რაღა დროს მაგის ფუტბოლია, ტო! სამოცდაათის ხდება... დაბერდა და ფარერები ფრანგებისგან ველარ გაურჩევია...

— ისე, ხვალ საბერძნეთი — შვეიცარიის გაუთოებული იქსი არა გგონია?

— რა პონტში?

— ეეე... არ იცი რა ფუტბოლი, ტრენერები გერმანელები არიან, ტო! აქეთ ოტო, იქითაც ოტო... მორიგდებიან, რა!

— ვსმისლე, როგორც „ტორკი" და „იორკი"?

**ძუში ძოწმარია**

ჩემი ბილეთი:
001 საბერძნეთი — შვეიცარია
შედეგი: ჩაწყობილია
სავარაუდო მოგება: ოტომობილი
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, მართლა იკითხა
თუ არა კარელ ბრიუკნერმა ფარერებთან მატჩის წინ,
ისევ ფრანგებს რატომ ვეთამაშებითო.

114140 *

## რავანელის ნაპოლის წარმატების სჯერა



**ტურინის** „იუვენტუსის" ყოფილი ფეხბურთელი ფაბრიციო რავანელი გაკვირვებულია ისეთი სტარტით, როგორიც „ნაპოლის" ჰქონდა — გუნდმა პირველ ხუთ ტურში 11 ქულა დააგროვა და სერია A-ს საუკეთესო ოთხ გუნდს შორისაა. მას სჯერა, რომ თუ „ნაპოლის" ფეხბურთელები ასე გააგრძელებენ, წარმატება გარდაუვალი იქნება. უფრო მეტიც, „ბოლოკას" განცხადებით, „ნაპოლის" შესწევს იმის ძალა, რომ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვდეს.

რავანელიმ ისაუბრა არა მარტო „ნაპოლიზე", არამედ თავის ყოფილ კლუბზეც. „ნაპოლის" შეუძლია, ჩემპიონატში მეოთხე ადგილისთვის იბრძოლოს, თუ გუნდის წარმატებულ თამაშს ერთ-ორ ახალ ფეხბურთელს დაამატებენ" — აღნიშნა ყოფილმა თავდამსხმელმა. „ინტერი" სკუდეტოს მოიგებს, მაგრამ „იუვენტუსი" პირველი ადგილისთვის იბრძოლებს. არ მჯერა, რომ „იუვე" კრიზისშია, მაგრამ ნეგატიური მომენტია, როცა ლეგენდარული ფეხბურთელების, დელ პიეროსა და ნედვედის გუნდი უაზროდ აგებს.

**გაგა ლოგუანიძე**

## მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# დუნგა: პატივი გვეცით

**სამხრეთ ამერიკა. IX ტური**

**ვენესუელა 0:4 ბრაზილია**

0:1 კაკა (6), 0:2 რობინიო (10), 0:3 ადრიანო (19), 0:4 რობინიო (67)
ვენესუელა: ვეგა, ჩაკონი, რეი, ბოადა, როხასი, მეა ვიტალი (ლუსენა 69), ვიელმა, გერა (მორენო 61), ვარგასი (სეიხასი 55), არანგო, მალდონადო
მწვრთნელი: სესარ ფარიასი
ბრაზილია: ჟულიუ სეზარი, მაიკონი, ლუსიუ, ჟუანი (ტიაგუ სილვა 46), კლებერი, ჟილბერტუ სილვა, ჟოსუე (მანსინი 78), ელანო, კაკა (ალექსი 71), ადრიანო, რობინიო
მწვრთნელი: კარლოს დუნგა
გაფრთხილება: როხასი, ადრიანო
მსაჯი: ვიქტორ რივერა (პერუ)
35 000 მაყურებელი

**ეკვადორი 1:0 ჩილე**

1:0 ბენიტესი (71)
ეკვადორი: ელისაგა, დე ხესუსი, ურტადო, ესპინოსა, აზროსი (ბოლანოსი 46), კასტილიო (ურუტია 44), აიოვი, გერონი, ვალენსია, ბენიტესი, კაისედო (იდალგო 86)
მწვრთნელი: სიქსტო ვისუეტე
ჩილე: ბრავო, მედელი, ხარა, ფუენტესი, ვიდალი, კარმონა, სერესედა (ესტრადა 54), ფერნანდესი (კონტრერასი 24), გონსალესი, სანჩესი, სუასო (მორალესი 58)
მწვრთნელი: მარსელო ბიელსა
გაფრთხილება: ხარა, სერესედა, ფუენტესი, ურტადო, სანჩესი, ხარა, ესპინოსა, ხარა
გაძევება: ფუენტესი (20), ვალენსია (76), ხარა (83)
მსაჯი: მარტინ ვასკესი (ურუგვაი)
27 000 მაყურებელი

**შარშანდლამდე** ვენესუელას ბრაზილიასთან მიჯრით 17 წაგება ჰქონდა, მაგრამ გასულ წელს ბოსტონში გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში 2:0 იმარჯვა და სესარ ფარიასის შეგირდებს ახლაც ჰქონდათ პატარა სასწაულის იმედი, მაგრამ...

ბრაზილია უკვე მე-6 წუთზე დაწინაურდა. ნაკრებში 11-თვიანი უთამაშებლობის შემდეგ, კაკამ დაბრუნება გოლით აღნიშნა — საკმაოდ მახვილი კუთხიდან გაიტანა. ეს მისი 23-ე გოლი გახლდათ „სელესაუს" მაისურით ჩატარებულ მე-60 შეხვედრაში.

აქედან 4 წუთში ანგარიში უკვე 0:2 იყო. „მანჩესტერ სიტის" თავდამსხმელმა რობინიომ დაახლოებით 30 მეტრიდან ჩინებულად დაარტყა. მესამე გოლი მე-20 წუთზე გავიდა, როცა კაკამ ელანოს უპასა, მისი დარტყმულის მერე კი ბურთი ადრიანოსთან აღმოჩნდა და ფორმაში შესული „იმპერატორიც" არ შემცდარა.

ფაქტობრივად გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ მასპინძლებს შესვენებამდე რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ვერ იხეირეს. ადრიანომ კი ყვითელი ბარათი მიიღო და კოლუმბიასთან მატჩის გამოტოვება მოუწევს.

მეორე ნახევრის დებიუტში ჟულიუ სეზარმა ორჯერ იხსნა ბრაზილია. შეხვედრას წერტილი კი იმავე რობინიომ დაუსვა, კიდევ ერთი ეფექტური გოლით. მან კლებერის აქტიურობის შემდეგ იხეირა.

ბრაზილიელთა მწვრთნელი კარლოს დუნგა: „როცა გასვლაზე ვთამაშობთ, ყველა ერთიანდება და ცდილობს, ყველანაირი პრობლემა შეგვიქმნან. მატჩისწინა ღამეს სასტუმროში მთელი ღამე საშინელი ხმაური იყო, რომელიღაც წვეულების გამო. ოთხ თუ ხუთ ფეხბურთელს საკვებმა აწყინა. ცხადია, ეს ყველაფერი საქმეს გვირთულებს. ბრაზილიის ნაკრები ყველას პატივს სცემს. გვინდა, რომ ჩვენდამიც ასეთი დამოკიდებულება იყოს".

ჩილე, რომელიც აქამდე ქულებით ბრაზილიასა და არგენტინასთან ერთად იყო, ახლა მათ სამი, ხოლო ლიდერ პარაგვაის შვიდი ქულით ჩამორჩა.

ჩილელები ეკვადორში დამარცხდნენ, ძალიან დაძაბულ და უხეშ მატჩში.

მასპინძლები საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ და დამსახურებულად მოიგეს. შეხვედრის ერთადერთი გოლი 71-ე წუთზე კრისტიან ბენიტესმა გაიტანა, სტუმართა მეკარის კლაუდიო ბრავოს შეცდომის შემდეგ. თუმცა მალევე იყოჩაღა, როცა იმავე ბენიტესს აული რთული ბურთი.

სხვათა შორის, ბენიტესმა ვითარება მატჩამდეც დაძაბა, როცა თქვა, ჩილეს სუსტი თავდასხმა ჰყავს და ნაკლებად უნდა გვეშინოდესო. მისი სიტყვები გარკვეულწილად გამართლდა კიდეც, სტუმრებს მეტოქის კარში წესიერად ერთხელაც არ დაურტყამთ.

ჩილელები მე-20 წუთის მერე 10 კაცით თამაშობდნენ, ისმაელ ფუენტესი ხოფრე გერონის მოცელვისთვის გააძევეს. 76-ეზე ეკვადორს ლუის ანტონიო ვალენსია გაუგდეს. 83-ეზე კი კვლავ სტუმარი მიაბრძანეს მინდვრიდან — გონსალო ხარა.

პარაგვაი დამაჯერებლად ლიდერობს. ბრაზილიას და არგენტინას თანაბარი ქულები აქვთ, მაგრამ „სელესაუ" ბურთების უკეთესი სხვაობით მეორეზეა.

არგენტინის ხსენებაზე კი ბარემ ისიც აღვნიშნოთ, რომ ურუგვაის კარში გატანილი გოლი ლიონელ მესისთვის პირველი გახლდათ საკუთარი ქომაგების თვალწინ. „ალბისელესტეს" მაისურთ მას უკვე 12 გოლი აქვს შეგდებული, მაგრამ წინა თერთმეტივე გასვლით მატჩებში გაეტანა.

**გიორგი ქაქაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარაგვაი | 9 | 6 | 2 | 1 | 17:6 | 20 |
| ბრაზილია | 9 | 4 | 4 | 1 | 15:4 | 16 |
| არგენტინა | 9 | 4 | 4 | 1 | 13:6 | 16 |
| ჩილე | 9 | 4 | 1 | 4 | 13:13 | 13 |
| ურუგვაი | 9 | 3 | 3 | 3 | 17:8 | 12 |
| ეკვადორი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:14 | 12 |
| კოლუმბია | 9 | 2 | 4 | 3 | 4:8 | 10 |
| ბოლივია | 9 | 2 | 2 | 5 | 11:20 | 8 |
| ვენესუელა | 9 | 2 | 1 | 6 | 9:17 | 7 |
| პერუ | 9 | 1 | 4 | 4 | 5:19 | 7 |

**მომდევნო ტური**

**14 ოქტომბერი**

ბოლივია — ურუგვაი

**15 ოქტომბერი**

პარაგვაი — პერუ
ჩილე — არგენტინა
ბრაზილია — კოლუმბია
ვენესუელა — ეკვადორი



დუნგა კაკას თამაშით კმაყოფილი დარჩა



კოლო ტურე

# მაღალი თუ დაბალი?

**ამ სეზონში** „არსენალს" კუთხურებიდან (თავით) სამი გოლი გაუტანეს, რასაც ცენტრალური მცველების სისუსტეზე ლაპარაკი მოჰყვა.

კოლო ტურეს მიაჩნია, რომ მცველის „სიგრძე" გადამწყვეტი არაა და მაგალითად მსოფლიო ფეხბურთის ორი დიდებული მცველი, ფრანკო ბარეზი და ფაბიო კანავარო მოიყვანა, რომლებიც 180 სანტიმეტრს არ აღემატებიან. გალასი და ტურე იტალიელებზე 4-4 სანტიმეტრით მაღლები არაიან.

„თავის დროზე ბარეზი საუკეთესო გახლდათ, კანავარო კი ორი წლის წინ მსოფლიოში პირველ ფეხბურთელად აღიარეს. ეს ამტკიცებს, რომ აუცილებელი არაა, მცველი მაღალი იყოს — თქვა ტურემ — ვიმედოვნებ, რომ ოდესმე მეც მათ დონეს მივაღწევ.

როცა სტანდარტულებზე ვსაუბრობთ, საქმე მხოლოდ ცენტრალურ მცველებში არაა, დაცვაში ამ დროს მთელმა გუნდმა უნდა იყოჩაღოს".

ჟილბერტუ სილვას წასვლის შემდეგ, კოტდივუარელი ლეგიონერი „მეთოფეების" ყველაზე „ძველი" ფეხბურთელი გახდა.

„კლუბში მეშვიდე სეზონს ვატარებ. ინგლისის ჩემპიონიც გავხდი, ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც მითამაშია და ამ სეზონში კვლავაც არაერთი ჯილდოს მოსაგებად ვიბრძოლებ".

**ვაჟა ხუციშვილი**

# სესკი — არსენალის ერთგული მეთოფე



**ესპანეთის** ნაკრების ნახევარმცველი სესკ ფაბრეგასი ლონდონის „არსენალის" ერთგულია და უახლოეს მომავალში გადასვლას არსად აპირებს. ფეხბურთელმა „ბარსელონაში" შესაძლო გადასვლის შესახებ გავრცელებული ხმები უარყო და თანაგუნდელებს ყოველ მატჩზე საბრძოლო განწყობით გამოსვლისკენ მოუწოდა. ფაბრეგასმა გუნდში არსებულ პრობლემებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ფეხბურთელები ყველაზე მეტ შეცდომებს სტანდარტული მდგომარეობისას უშვებენ.

„ახლა მხოლოდ სეზონის დასაწყისია. ჩემპიონატი შარშანაც შესანიშნავად დავიწყეთ, დიდი ხნის განმავლობაში პირველ საფეხურზე ვიყავით, მაგრამ საბოლოო ჯამში ხელში არაფერი შეგვრჩა. ასე რომ, ახლანდელ მდგომარეობას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ამჟამად ერთადერთი, რაც შეგვიძლია, მომავალი მატჩისთვის მომზადება და საკუთარი შეცდომების გამოსწორებაა. სტანდარტულების დროს ხშირად ვცდებით და თუ სერიოზული მიზნების მიღწევა გვსურს, აუცილებლად უნდა გამოვსწორდეთ" — განაცხადა ფეხბურთელმა.

ფაბრეგასის სახელს „ბარსას" გარდა მადრიდის „რეალთან" და „მილანთანაც" აკავშირებენ. როგორც ამბობენ, „როსონერის" ხელმძღვანელობას ახალგაზრდა ესპანელი სამომავლო შენაძენთა სიაში ჰყავს, თუმცა სესკმა ამ მხრივ თავისი პოზიცია კიდევ ერთხელ დააფიქსირა: „ემირეით სთედიუმზე" დარჩენა მსურს, რადგან აქ თავს კარგად ვგრძნობ. გუნდთან ერთად ბევრი ტიტულის მოგება მინდა და იმედია, ამას ამავე სეზონში მივაღწევ".

**არჩილ ქოგახიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაგვიბრუნეთ მარიო!



მარიო ბალოტელი

**იტალიურ** პრესაში მარიო ბალოტელის ნამდვილი მშობლების კომენტარები გამოჩნდა. შეგახსნებთ, რომ მილანის „ინტერის“ 18 წლის ფორვარდი უკვე რახანია, ახალგაზრდული ნაკრების წევრია და მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ბევრი ახლავე ითხოვს ბალოტელის ეროვნულ ნაკრებში გამოძახებას, ზოგსაც ეს ძალიან არ მოსწონს, განსაკუთრებით ფანების გარკვეულ ნაწილს, რომლებსაც არ სურთ იტალიის ნაკრების სახის შეცვლა. „ორიუნდებს“ (უცხოეთში დაბადებულ იტალიელებს) თუ არ ჩავთვლით, „სკუადრა აძურაში“ ნატურალიზირებულ ფეხბურთელს და, მით უმეტეს, შავკანიანს არასოდეს უთამაშია...

„იტალიაში 1988 წელს ჩამოვედით. ნესტიან, პატარა ოთახში ვცხოვრობდით, რომელშიც მხოლოდ ერთი საწოლი იყო და ჩვენს გარდა კიდევ ერთი აფრიკული ოჯახი ბინადრობდა. დახმარებისთვის სპეციალურ ორგანოებს მივმართე. ხელში ავადმყოფი ბავშვი მეჭირა და ავუხსენი, რა პირობებშიც ვიყავით, მაგრამ ჩვენთვის ახალი ადგილი არ მოიძებნა. გვირჩიეს, შვილი დროებით ერთ-ერთ ადგილობრივ ოჯახში მიგვებარებინა“ — განუცხადა „კორიერე დელა სერას“ ბალოტელის ბიოლოგიურმა დედამ მარია როზა ბარვუაჰმა.

მარიო 1990 წლის 12 აგვისტოს პალერმოში დაიბადა და დღემდე ამტკიცებს, რომ თავს 100-პროცენტიან იტალიელად გრძნობს. მას ერთი სული აქვს, როდის მოხვდება ეროვნულ ნაკრებში და უარს ამბობს თავის ნამდვილ გვარზე — ბარვუაჰზე.

ბალოტელის მამა ტომას ბარვუაჰი: „სოციალური სამსახურები გვეხმარებოდნენ მარიოსთან კონტაქტის შენარჩუნებაში. მას ხშირად ვსტუმრობდი. უქმეებზე სახლში მომყავდა და იგი ხშირად ხვდებოდა თავის ძმებს. თუმცა დროის გასვლასთან ერთად ყველაფერი იცვლება. ჩვენ არ გვაინტერესებს, რომ მარიო ახლა ცნობილია და ბევრ ფულს შოულობს. საბედნიეროდ, სამყოფი ფული ახლა გვაქვს. ერთადერთი, რაც გვინდა, შევახსენოთ მას, რომ ჩვენ ისევ მისი მშობლები ვართ. „ინტერის“ მწვრთნელს ჟოზე მაურინიუს უთხარით, მარიოს ყურადღება არ მოაკლოს და როგორც საკუთარ შვილს მოეპყროს“.

„გვსურს, მარიოს გადავცეთ, რომ იგი ყოველთვის გვიყვარდა და დიდ მადლობას ვუხდით ბალოტელის ოჯახს მისი გაზრდისთვის. თუმცა საკუთარ ვაჟთან კონტაქტი და ურთიერთობა ჩვენც გვინდა. უნდა განვაცხადოთ, რომ მარიო არ გაგვიშვილებია. უბრალოდ, დროის გასვლასთან ერთად, მოხდა ისეთი რაღაცები, რის შესახებაც, შესაძლოა თავად მარიომაც არ იცის“ — დასძინა მარია როზა ბარვუაჰმა.

**გიორგი ძაძაგაძე**



# სასტუმროში შეირბინეთ და ჩანთა წამოიღეთ

## კევინ კურანიმ ერთი ავტობუსი ხალხი გადააგდო

**„შალკეს“** გენერალურმა მენეჯერმა ანდრეას მიულერმა ნაკრებიდან მოკვეთილი კევინ კურანის ვექილობა იკისრა.

„იოახიმ ლიოვს არ უნდა გაკვირვებოდა ფეხბურთელის საქციელი — თქვა მიულერმა — ნაწყენმა კურანიმ მატჩამდე განუცხადა, სახლში მივდივარო. იგრძნო, რომ მწვრთნელი აშკარად მის წინააღმდეგ მოქმედებდა“.

შაბათს დორტმუნდში გერმანია — რუსეთის შეხვედრის წინ იოახიმ ლიოვმა „შალკეს“ ფორვარდს უთხრა, რომ 18-კაციან განაცხადში მისი ადგილი არ იყო.

კურანიმ პირველ ტაიმს უყურა და შესვენებისას წავიდა. ნამატჩევს ნაკრები სასტუმროში მის გარეშე დაბრუნდა. მწვრთნელმა ამაოდ უწკრიალა ტელეფონი — ფეხბურთელმა არ უპასუხა. ჩანთის წამოსაღებად კი სასტუმროში ორი მეგობარი გააგზავნა.

ბუნდესნაკრების თავკაცმა კვირას ბრძანა, რომ ფეხბურთელის აჯანყებას არ შეეგუება და სანამ მწვრთნელი იქნება, კურანი ეროვნული გუნდის მაისურას ვერ ეღირსება.

„ასეთ გამოხდომაზე თვალს ვერ დავხუჭავ — გაცხარდა ლიოვი — რუსეთთან მატჩამდე შემადგენლობის გამოცხადების შემდეგ, კურანი ჩემთან პრეტენზიით მოვიდა.

კარგად მესმის მისი გულისწყრომა, მაგრამ თვითნებური წასვლა არ ეპატიება. ნაკრებში ქვეყნის 20 საუკეთესო ფეხბურთელია თავმოყრილი და მწვრთნელს არჩევანის გაკეთება უჭირს. ყველანი გაოგნებული ვართ კევინის გაუმართლებელი საქციელით.

ნაცვლად იმისა, რომ ჩემთან ან რომელიმე ჩემს თანაშემწესთან სასაუბროდ მოსულიყო, სტადიონიდან გაიპარა, ჩვენ კი ავტობუსში ვისხედით და არ ვიცოდით, სად იყო.

კურანის ადგილი ნაკრებში აღარაა. საკმარისი ფორვარდები გვყავს და უელსთან მატჩისთვის პოდოლსკი, გომესი, კლოზე და ჰელმესი მოემზადებიან“.

ანდრეას მიულერი: „კურანიმ ჯობ ახლა მაინც დაისვენოს და დამშვიდდეს. ბოლო სამი წლის განმავლობაში ხან კლუბთან ჰქონდა პრობლემა, ხან ფანებთან და ხანაც — ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან.

მე არ ვაპირებ მისთვის წიხლის დაჭერას და გვერდში დავუდგები. როგორც ვიცი, კევინმა კვირას ლიოვს დაურეკა და მოუბოდიშა, მაგრამ ნაკრებში თამაში აღარ სურს“.

კევინ კურანიმ 52 სანაკრებო მატჩში 19 გოლი გაიტანა.

**მაშა ხუციშვილი**

# დინო ძოფი კრიზისს ხედავს



**ჯანლუიჯი ბუფონი** მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ ითვლება, მაგრამ იტალიელთა ლეგენდა დინო ძოფი შორს იყურება და მის შემცვლელს ვერ ხედავს. მან მშვენივრად იცის, რომ ბუფონი ხელწამოსაკრავი მეკარე არ არის, მაგრამ თავში სულ ერთი კითხვა უტრიალებს — ვინ იქნება ჯიჯის მერე?

თუ იტალიური ფეხბურთის ოთხი გრანდის შემადგენლობებს გადავხედავთ, რომლებიც ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობენ, შევნიშნავთ, რომ არცერთი გუნდის ძირითადი მეკარე იტალიელი არ არის. „ინტერის“ კარს ბრაზილიელი ჟულიუ სეზარი იცავს, „მილანსა“ და „რომაში“ — სეზარის თანამემამულეები, შესაბამისად, ნელსონ დიდა და კრისტიანო დონი, „ფიორენტინა“ კი ფრანგ სებასტიან ფრეის ენდობა. იტალიელთა ნაკრების მეორე მეკარე მარკო ამელია წელს ევროთასებზე არ ასპარეზობს, რაც 26 წლის გოლკიპერს გამოცდილების მიღებაში ხელს უშლის. ძოფის აზრით, მეკარეთა პრობლემის მოსაგვარებლად უფრო მეტი ყურადღებაა საჭირო.

„ბუფონის მერე, კარგი მეკარეები არ გვყავს — განაცხადა ძოფმა — ვერ ვხედავ ახალ, იმედისმომცემ მეკარეებს, რაც იტალიური სკოლის სისუტეზე მეტყველებს.

„სიენას“ მეკარე ჯანლუკა კურჩიც კარგ ფორმაშია, მაგრამ ძოფი თვლის, რომ იგი ჯერ არ არის მზად ნაკრებში სათამაშოდ. იტალიელებს ყოველთვის ჰყავდათ კარგი მეკარეები, მაგრამ ბუფონის შემხედვარე, ფეხბურთის ფედერაციამ აქცენტი სხვა პოზიციებზე გადაიტანა. თუმცა ერთ მშვენიერ დღეს ბუფონიც გააკეთებს განცხადებას ფეხბურთიდან წასვლის შესახებ“.

**გაგა ლობჟანიძე**

# სილვა ფრთხილობს



**ესპანეთის** ნაკრებისა და „ვალენსიას“ შემტევი ნახევარმცველის დავიდ სილვას ტრავმა უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ამას აქამდე ვარაუდობდნენ და, ფეხბურთელის განცხადებით, იგი მოედანზე იქამდე არ გავა, სანამ კოჭი საბოლოოდ არ მოურჩება.

„ჩემი ტრავმა მეტად სერიოზული გამოდგა. ახლა მოვლენების დაჩქარება არ მსურს და რეაბილიტაციის სრული კურსის გავლას ვაპირებ. ექიმები მუდმივად მაკვირდებიან და მოედანზე გასვლაც კი არ მომივა აზრად, სანამ ისინი თამაშის უფლებას არ მომცემენ“ — ბრძანა სილვამ.

შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელმა კოჭის დაზიანება პრიმერადივიზიონის პირველ ტურში, „მალიორკასთან“ შეხვედრისას მიიღო.

**არჩილ ძობახიძე**

# ეტოოს პრობლემები მოაგვარა



**სამუელ ეტოომ** თქვა, რომ საუცხოო ფორმაშია და პრობლემა აღარც „ბარსას“ მწვრთნელთან და აღარც პრეზიდენტთან აქვს.

„14 წელია, პროფესიულ ფეხბურთში ვარ და მუდამ ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად ვიბრძვი — განაცხადა კამერუნელმა — აქ ფეხბურთისგან სიამოვნებას ვიღებ და მინდა, რომ ქომაგსაც ვასიამოვნო. სეზონის დაწყებამდე რაღაც პრობლემები მქონდა, მაგრამ სიმშვიდე არ დამიკარგავს. ვიცოდი, რომ ვითარება გამოსწორდებოდა და ამიტომ გულიანად ვვარჯიშობდი. ყველამ გაიგოს — ახლა კლუბთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს“.

სამუელ ეტოო მსოფლიოს შესარჩევში აფრიკაში ექვსი გოლით ბომბარდირია. ნაკრებში საშუალოდ ყოველ 71 წუთში გოლი გააქვს.

პრიმერადივიზიონში კამერუნელმა 5 შეაგდო, ჩემპიონთა ლიგაში კი (მათ შორის საკვალიფიკაციოში) სამი. სულ 15 მატჩში 14 გაიტანა — თითქმის იდეალური შედეგია.

**მაშა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:30 | 50 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1.22 | 6.00 | 12.00 | 1.01 | 1.10 | 4.00 |
| 19:00 | 51 | სტოკი-ტოტენჰემი | 3.25 | 3.20 | 2.20 | 1.61 | 1.31 | 1.30 |
| 15:45 | 53 | მიდლსბრო-ჩელსი | 6.50 | 3.60 | 1.55 | 2.31 | 1.25 | 1.08 |
| 15:45 | 54 | მიდლსბრო-ჩელსი 1:0 | 2.35 | 3.40 | 2.50 | | | |
| 18:00 | 55 | ლივერპული-უიგანი | 1.30 | 4.50 | 11.00 | 1.00 | 1.16 | 3.19 |
| 18:00 | 56 | ლივერპული-უიგანი 0:1 | 1.90 | 3.40 | 3.25 | | | |
| 18:00 | 57 | ჰალი-ვესტ ჰემი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 18:00 | 58 | ჰალი-ვესტ ჰემი 0:1 | 4.30 | 4.30 | 1.55 | | | |
| 18:00 | 59 | ფულემი-სანდერლენდი | 2.25 | 3.20 | 3.20 | 1.32 | 1.32 | 1.60 |
| 18:00 | 60 | ბოლტონი-ბლექბერნი | 2.35 | 3.30 | 2.90 | 1.37 | 1.29 | 1.54 |
| 18:00 | 61 | არსენალი-ევერტონი | 1.40 | 4.20 | 8.00 | 1.04 | 1.19 | 2.75 |
| 18:00 | 62 | არსენალი-ევერტონი 0:1 | 2.10 | 3.60 | 2.80 | | | |
| 18:00 | 63 | ასტონ ვილა-პორტსმუთი | 1.85 | 3.30 | 4.50 | 1.18 | 1.31 | 1.90 |
| | | 20 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:45 | 52 | ნიუკასლი-სიტი | 2.70 | 3.10 | 2.55 | 1.44 | 1.31 | 1.39 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:30 | 190 | ბოხუმი-მიონხენგლადბახი | 2.10 | 3.30 | 3.50 | 1.28 | 1.31 | 1.69 |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:30 | 178 | ვერდერი-დორტმუნდი | 1.70 | 3.50 | 4.50 | 1.14 | 1.23 | 1.96 |
| 17:30 | 179 | ვოლფსბურგი-არმინია | 1.45 | 4.00 | 7.00 | 1.06 | 1.20 | 2.54 |
| 17:30 | 180 | ჰანოვერი-ჰოფენჰაიმი | 2.45 | 3.20 | 2.80 | 1.38 | 1.30 | 1.49 |
| 17:30 | 182 | აინტრახტი-ლევერკუზენი | 3.30 | 3.30 | 2.15 | 1.64 | 1.30 | 1.30 |
| 17:30 | 183 | ჰერტა-შტუტგარტი | 2.50 | 3.20 | 2.70 | 1.40 | 1.29 | 1.46 |
| 17:30 | 185 | კარლსრუე-ბაიერნი | 5.00 | 3.50 | 1.65 | 2.05 | 1.24 | 1.12 |
| 17:30 | 187 | კიოლნი-ენერგია | 1.90 | 3.30 | 3.90 | 1.20 | 1.27 | 1.78 |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 188 | ჰამბურგი-შალკე | 2.30 | 3.20 | 3.00 | 1.33 | 1.30 | 1.54 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 191 | ნიურნბერგი-ფრაიბურგი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 20:00 | 197 | ოსნაბრიუკი-ობერჰაუზენი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 20:00 | 198 | კაიზერსლაუტერნი-ალენი | 1.60 | 3.50 | 5.30 | 1.09 | 1.22 | 2.10 |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:00 | 192 | ჰანზა-კობლენცი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 16:00 | 193 | დუისბურგი-ინგოლშტადი | 1.65 | 3.40 | 4.85 | 1.11 | 1.23 | 1.99 |
| 16:00 | 195 | ვეენი-ფრანკფურტი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 16:00 | 196 | მიუნხენი -ფიურტი | 2.35 | 3.20 | 2.85 | 1.35 | 1.28 | 1.50 |
| 16:00 | 199 | აუგსბურგი-ზტ.პაული | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| | | 20 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:15 | 194 | ალემანია-მაინცი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 240 | აუსტრია-ლინცერი | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 20:00 | 241 | კაფენბერგი-რიდი | 2.50 | 3.10 | 2.65 | 1.38 | 1.28 | 1.42 |
| 20:00 | 242 | აუსტრია კერნტენი-რაპიდი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 20:00 | 244 | მატერსბურგი-შტურმი | 2.55 | 3.10 | 2.65 | 1.39 | 1.29 | 1.42 |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:30 | 238 | ალტახი-ზალცბურგი | 5.50 | 3.50 | 1.60 | 2.13 | 1.23 | 1.09 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 282 | ფიორენტინა-რეჯინა | 1.50 | 3.70 | 7.00 | 1.06 | 1.23 | 2.42 |
| 20:00 | 286 | ნაპოლი-იუვენტუსი | 2.55 | 3.00 | 2.80 | 1.37 | 1.33 | 1.44 |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 275 | მილანი-სამპდორია | 1.55 | 3.70 | 6.50 | 1.09 | 1.25 | 2.35 |
| 17:00 | 276 | ბოლონია-ლაციო | 3.00 | 3.10 | 2.35 | 1.52 | 1.31 | 1.33 |
| 17:00 | 278 | ლეჩე-უდინეზე | 2.65 | 3.00 | 2.65 | 1.40 | 1.32 | 1.40 |
| 17:00 | 280 | ჯენოა-სიენა | 1.75 | 3.20 | 5.00 | 1.13 | 1.29 | 1.95 |
| 17:00 | 281 | ტორინო-კალიარი | 1.85 | 3.20 | 4.50 | 1.17 | 1.31 | 1.87 |
| 22:30 | 283 | რომა-ინტერი | 3.10 | 3.10 | 2.30 | 1.54 | 1.32 | 1.32 |
| 17:00 | 285 | კიევო-ატალანტა | 2.40 | 3.00 | 3.00 | 1.33 | 1.33 | 1.50 |
| 17:00 | 287 | კატანია-პალერმო | 2.45 | 3.10 | 2.90 | 1.36 | 1.32 | 1.49 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:55 | 323 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 2.65 | 3.20 | 2.55 | 1.44 | 1.29 | 1.41 |
| 22:00 | 325 | ატლეტიკო-რეალი | 2.65 | 3.20 | 2.55 | 1.44 | 1.29 | 1.41 |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 321 | ბეტისი-მალიორკა | 2.00 | 3.20 | 3.80 | 1.23 | 1.31 | 1.73 |
| 19:00 | 322 | ვალიადოლიდი-უელვა | 1.85 | 3.20 | 4.35 | 1.17 | 1.29 | 1.84 |
| 19:00 | 326 | ვალენსია-ნუმანსია | 1.30 | 4.80 | 10.00 | 1.02 | 1.15 | 3.24 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 328 | ბილბაო-ბარსელონა | 6.50 | 3.70 | 1.55 | 2.35 | 1.25 | 1.09 |
| 19:00 | 330 | რასინგი-დეპორტივო | 2.30 | 3.20 | 3.10 | 1.33 | 1.32 | 1.57 |
| 23:00 | 331 | ალმერია-სევილია | 2.80 | 3.20 | 2.45 | 1.49 | 1.30 | 1.38 |
| 19:00 | 333 | ხიხონი-ოსასუნა | 2.55 | 3.00 | 2.80 | 1.37 | 1.33 | 1.44 |
| 19:00 | 334 | მალაგა-ხეტაფე | 2.45 | 3.20 | 2.80 | 1.38 | 1.30 | 1.49 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 389 | მონაკო-ნიცა | 2.25 | 2.90 | 3.40 | 1.26 | 1.35 | 1.56 |
| 21:00 | 390 | ნანტი-სტ.ეტიენი | 2.60 | 2.90 | 2.75 | 1.37 | 1.33 | 1.41 |
| 21:00 | 391 | პსჟ-ლორიანი | 1.60 | 3.40 | 6.00 | 1.08 | 1.26 | 2.17 |
| 21:00 | 393 | სოშო-ლე ავრი | 1.85 | 3.10 | 4.35 | 1.15 | 1.29 | 1.81 |
| 21:00 | 394 | ბორდო-ტულუზი | 1.70 | 3.40 | 5.00 | 1.13 | 1.26 | 2.02 |
| 21:00 | 395 | კაენი-გრენობლი | 1.90 | 3.00 | 4.20 | 1.16 | 1.30 | 1.75 |
| 23:00 | 396 | ლიონი-ლილი | 1.50 | 3.40 | 7.00 | 1.04 | 1.23 | 2.28 |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 386 | ოსერი-რენი | 2.40 | 2.90 | 3.20 | 1.31 | 1.37 | 1.52 |
| 19:00 | 387 | ლე მანი-ნანსი | 2.05 | 3.00 | 3.80 | 1.21 | 1.33 | 1.67 |
| 23:00 | 398 | ვალენსიენი-მარსელი | 3.70 | 3.00 | 2.10 | 1.65 | 1.33 | 1.23 |
| | | საბერძნეთი. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:45 | 468 | პანსერაიკოსი-ასტერასი | 2.35 | 3.10 | 2.90 | 1.33 | 1.29 | 1.49 |
| 17:45 | 469 | ირაკლისი-ერგოტელისი | 1.85 | 3.25 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.79 |
| 20:00 | 471 | პანიონიოსი-არისი | 2.35 | 3.10 | 2.90 | 1.33 | 1.29 | 1.49 |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:00 | 464 | ლევადიაკოსი-ქსანთი | 2.40 | 3.10 | 2.85 | 1.35 | 1.30 | 1.48 |
| 20:00 | 466 | პაოკ-პანათინაიკოსი | 2.90 | 3.10 | 2.35 | 1.49 | 1.29 | 1.33 |
| 16:00 | 470 | ოფი-თრასივულოსი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 17:45 | 472 | აეკ-ლარისა | 1.45 | 4.00 | 7.00 | 1.06 | 1.20 | 2.54 |
| 20:00 | 474 | ოლიმპიაკოსი-პანთრაკიკოსი | 1.10 | 7.50 | 17.00 | 1.00 | 1.03 | 5.20 |
| | | ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა | | | | | | |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 505 | ტეპლიცე-ბოლესლავი | 2.50 | 2.90 | 2.90 | 1.34 | 1.34 | 1.45 |
| 19:00 | 506 | ლიბერეცი-იაბლონეცი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 19:00 | 507 | პრჟიბრამი-ზლინი | 2.00 | 3.00 | 3.65 | 1.20 | 1.29 | 1.64 |
| 19:00 | 508 | პლზენი-სპარტა | 3.55 | 3.20 | 2.00 | 1.68 | 1.27 | 1.23 |
| 19:00 | 509 | ბანიკი-ბოჰემიანსი | 1.40 | 4.00 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.60 |
| 19:00 | 510 | ბუდეიოვიცე-სიგმა | 2.20 | 3.00 | 3.30 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| 19:00 | 511 | სლავია-კლადნო | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 12:15 | 504 | ჟიჟკოვი-ბრნო | 2.75 | 2.90 | 2.55 | 1.41 | 1.32 | 1.35 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 538 | ოლბორგი-ნორდსიელანდი | 1.75 | 3.60 | 4.10 | 1.17 | 1.22 | 1.91 |
| 19:00 | 541 | ჰორსენსი-კოპენჰაგენი | 6.00 | 3.70 | 1.55 | 2.28 | 1.23 | 1.09 |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 16:00 | 539 | რანდერსი-ვეილე | 1.90 | 3.40 | 3.70 | 1.21 | 1.25 | 1.77 |
| 18:00 | 540 | სიონდერიისკე-ბრიონდბიუ | 5.10 | 3.70 | 1.65 | 2.14 | 1.24 | 1.14 |
| 18:00 | 542 | ოდენსე-ესბიერგი | 1.55 | 3.70 | 5.80 | 1.09 | 1.22 | 2.25 |
| | | 20 ოქტომბერი | | | | | | |
| 18:00 | 537 | მიდტიულანდი-ორჰუსი | 1.50 | 4.00 | 6.00 | 1.09 | 1.20 | 2.40 |
| | | ირლანდია. პრემიერ დივიზიონი | | | | | | |
| | | 14 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 988 | სტ.პატრიკსი-გალვეი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| | | ფიფა. მჩ შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 14 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:55 | 38 | ბოლივია-ურუგვაი | 2.55 | 3.20 | 2.30 | 1.41 | 1.20 | 1.33 |
| | | 15 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 1 | რუსეთი-ფინეთი | 1.30 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.10 |
| 19:00 | 2 | რუსეთი-ფინეთი 0:1 | 1.80 | 3.60 | 3.20 | | | |
| 19:30 | 3 | ჩეხეთი-სლოვენია | 1.35 | 4.40 | 8.00 | 1.03 | 1.15 | 2.83 |
| 19:30 | 4 | ჩეხეთი-სლოვენია 0:1 | 2.00 | 3.40 | 3.00 | | | |
| 20:00 | 5 | ლატვია-ისრაელი | 3.40 | 3.20 | 2.10 | 1.64 | 1.29 | 1.26 |
| 20:00 | 6 | ლიტვა-ფარერები | 1.15 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.53 |
| 20:00 | 7 | ლიტვა-ფარერები 0:1 | 1.55 | 3.80 | 4.50 | | | |
| 20:00 | 8 | ნორვეგია-ჰოლანდია | 4.50 | 3.30 | 1.75 | 1.90 | 1.25 | 1.14 |
| 21:30 | 9 | მალტა-უნგრეთი | 6.20 | 4.10 | 1.45 | 2.46 | 1.17 | 1.07 |
| 22:00 | 10 | ისლანდია-მაკედონია | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 22:15 | 11 | ლუქსემბურგი-მოლდოვა | 4.50 | 3.50 | 1.70 | 1.96 | 1.23 | 1.14 |
| 22:15 | 12 | ბოსნია-სომხეთი | 1.30 | 4.20 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.86 |
| 22:15 | 13 | ბოსნია-სომხეთი 0:1 | 1.90 | 3.60 | 2.90 | | | |
| 22:00 | 14 | ხორვატია-ანდორა | 1.02 | 8.00 | 45.00 | 1.00 | 1.00 | 6.79 |
| 22:30 | 16 | სლოვაკეთი-პოლონეთი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 17 | ავსტრია-სერბეთი | 2.65 | 3.20 | 2.45 | 1.44 | 1.27 | 1.38 |
| 22:30 | 18 | საბერძნეთი-შვეიცარია | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| 22:30 | 19 | ესტონეთი-თურქეთი | 7.00 | 4.00 | 1.40 | 2.54 | 1.16 | 1.03 |
| 22:30 | 20 | ესტონეთი-თურქეთი 1:0 | 2.60 | 3.50 | 2.10 | | | |
| 22:00 | 21 | ბელარუსი-ინგლისი | 9.50 | 4.30 | 1.30 | 2.96 | 1.14 | 1.00 |
| 22:00 | 22 | ბელარუსი-ინგლისი 1:0 | 3.40 | 3.70 | 1.80 | | | |
| 21:45 | 23 | ჩრდ ირლანდია-სან მარინო | 1.05 | 8.50 | 30.00 | 1.00 | 1.01 | 6.62 |
| 22:45 | 25 | ირლანდია-კვიპროსი | 1.35 | 4.30 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.85 |
| 22:45 | 26 | ირლანდია-კვიპროსი 0:1 | 1.90 | 3.60 | 3.00 | | | |
| 22:45 | 27 | გერმანია-უელსი | 1.15 | 5.50 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.02 |
| 22:45 | 28 | გერმანია-უელსი 0:1 | 1.45 | 4.20 | 4.40 | | | |
| 22:45 | 29 | ბელგია-ესპანეთი | 4.50 | 3.30 | 1.75 | 1.90 | 1.25 | 1.14 |
| 22:45 | 30 | იტალია-ჩერნოგორია | 1.20 | 5.50 | 13.00 | 1.00 | 1.09 | 3.86 |
| 22:45 | 31 | იტალია-ჩერნოგორია 0:1 | 1.50 | 4.10 | 4.20 | | | |
| 23:45 | 32 | პორტუგალია-ალბანეთი | 1.12 | 7.00 | 15.00 | 1.00 | 1.04 | 4.77 |
| 13:30 | 34 | ავსტრალია-ყატარი | 1.25 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.14 |
| 14:30 | 35 | იაპონია-უზბეკეთი | 1.25 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.14 |
| 16:30 | 37 | ირანი-ჩრდ კორეა | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 23:55 | 39 | პარაგვაი-პერუ | 1.30 | 4.20 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.81 |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 03:15 | 40 | ჩილე-არგენტინა | 4.50 | 3.30 | 1.70 | 1.90 | 1.23 | 1.12 |
| 04:50 | 41 | ბრაზილია-კოლუმბია | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2,88 |
| 05:00 | 42 | ვენესუელა-ეკვადორი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 03:00 | 981 | ტრინიდადი-აშშ | 4.50 | 3.40 | 1.65 | 1.93 | 1.20 | 1.11 |
| 03:00 | 982 | კუბა-გვატემალა | 3.10 | 3.20 | 2.05 | 1.57 | 1.23 | 1.24 |
| 03:00 | 983 | იამაიკა-ჰონდურასი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 06:00 | 984 | სალვადორი-სურინამი | 1.40 | 4.10 | 6.00 | 1.04 | 1.13 | 2.43 |
| 05:00 | 985 | კანადა-მექსიკა | 5.50 | 3.50 | 1.55 | 2.13 | 1.20 | 1.07 |
| 06:00 | 986 | კოსტა რიკა-ჰაიტი | 1.15 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 3.66 |
| | | უეფა. ენ შესარჩევი მატჩები(21) | | | | | | |
| | | 14 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:30 | 972 | ფინეთი21-ავსტრია21 | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 20:00 | 973 | ბელარუსი21-თურქეთი21 | 2.60 | 3.10 | 2.40 | 1.41 | 1.24 | 1.35 |
| 22:45 | 974 | ინგლისი21-უელსი21 | 1.30 | 4.40 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.77 |
| 23:30 | 975 | ესპანეთი21-შვეიცარია21 | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| | | 15 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:00 | 976 | სერბეთი21-დანია21 | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 21:00 | 977 | ისრაელი21-იტალია21 | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 21:00 | 978 | საფრანგეთი21-გერმანია21 | 2.30 | 3.00 | 3.00 | 1.30 | 1.30 | 1.50 |
| | | ირლანდია. თასი | | | | | | |
| | | 14 ოქტომბერი | | | | | | |
| 23:00 | 44 | დერი-კორკი | 2.05 | 3.20 | 3.25 | 1.24 | 1.25 | 1.61 |
| | | ფუტზალი მჩ 2008 ბრაზილია | | | | | | |
| | | 14 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:30 | 956 | ბრაზილია-უკრაინა | 1.01 | 10.00 | 14.00 | 1.00 | 1.00 | 5.83 |
| 17:30 | 957 | ბრაზილია-4.5-უკრაინა4.5 | 1.70 | 1.80 | | | | |
| 17:30 | 958 | ბრაზილია-უკრაინა(წყვ/კენტი) | 1.85 | 1.85 | | | | |
| 17:30 | 959 | ბრაზილია-უკრაინა 6,5 | 1.90 | 1.60 | | | | |
| 17:30 | 960 | იტალია-ირანი | 1.45 | 5.50 | 3.50 | 1.14 | 1.02 | 2.13 |
| 17:30 | 961 | იტალია-1.5-ირანი1.5 | 1.90 | 1.70 | | | | |
| 17:30 | 962 | იტალია-ირანი(წყვ/კენტი) | 1.85 | 1.85 | | | | |
| 17:30 | 963 | იტალია-ირანი 6,5 | 1.40 | 2.20 | | | | |
| 19:30 | 964 | ესპანეთი-პარაგვაი | 1.30 | 5.20 | 5.50 | 1.03 | 1.05 | 2.67 |
| 19:30 | 965 | ესპანეთი-1.5-პარაგვაი1.5 | 1.70 | 1.80 | | | | |
| 19:30 | 966 | ესპანეთი-პარაგვაი(წყვ/კენტი) | 1.85 | 1.85 | | | | |
| 19:30 | 967 | ესპანეთი-პარაგვაი 6,5 | 1.60 | 1.80 | | | | |
| 19:30 | 968 | რუსეთი-არგენტინა | 1.70 | 5.20 | 2.60 | 1.28 | 1.02 | 1.73 |
| 19:30 | 969 | რუსეთი-1.5-არგენტინა1.5 | 2.30 | 1.40 | | | | |
| 19:30 | 970 | რუსეთი-არგენტინა(წყვ/კენტი) | 1.85 | 1.85 | | | | |
| 19:30 | 971 | რუსეთი-არგენტინა 6,5 | 1.70 | 1.80 | | | | |
| | | ჰოკეი. NHL | | | | | | |
| | | 15 ოქტომბერი | | | | | | |
| 03:30 | 709 | პიტსბურგი-ფილადელფია | 1.90 | 3.90 | 2.90 | 1.27 | 1.14 | 1.66 |
| 03:00 | 710 | ატლანტა-მინესოტა | 2.20 | 4.00 | 2.50 | 1.41 | 1.17 | 1.53 |
| 05:30 | 711 | კალგარი-კოლორადო | 1.90 | 4.00 | 2.80 | 1.28 | 1.13 | 1.64 |
| 06:30 | 712 | ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი | 2.80 | 4.00 | 1.90 | 1.64 | 1.13 | 1.28 |
| 06:30 | 713 | სან ხოსე-კოლამბუსი | 1.65 | 4.00 | 3.85 | 1.16 | 1.15 | 1.96 |
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | 14 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 751 | მოდო-ლულეო | 1.60 | 4.30 | 3.50 | 1.16 | 1.09 | 1.92 |
| 21:00 | 752 | როგლე-ლინჩიოპინგი | 2.50 | 4.10 | 2.00 | 1.55 | 1.11 | 1.34 |
| 21:00 | 753 | ფერიესტადი-ჰვ 71 | 1.95 | 4.10 | 2.55 | 1.32 | 1.10 | 1.57 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 14 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:30 | 766 | ესეტი-ტურკუ | 1.85 | 4.10 | 3.00 | 1.27 | 1.14 | 1.73 |
| 19:30 | 767 | ესპოო-ჰაამეენლინა | 1.55 | 4.50 | 4.00 | 1.15 | 1.11 | 2.11 |
| 19:30 | 768 | ჰელსინკი-სეიპა | 1.45 | 4.50 | 4.50 | 1.09 | 1.09 | 2.25 |
| 19:30 | 769 | ილვესი-ლუკო | 2.10 | 4.10 | 2.40 | 1.38 | 1.12 | 1.51 |
| 19:30 | 770 | იუვესკიულე-კერპეტი | 1.90 | 4.20 | 2.80 | 1.30 | 1.13 | 1.67 |
| 19:30 | 771 | კალპა-იოკერიტი | 2.35 | 4.10 | 2.25 | 1.49 | 1.14 | 1.45 |
| 19:30 | 772 | ლახტი-ტაპარა | 1.90 | 4.20 | 2.75 | 1.30 | 1.12 | 1.66 |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:30 | 773 | ჰაამენლინა-ესპოო | 2.30 | 4.20 | 2.30 | 1.48 | 1.14 | 1.48 |
| 19:30 | 774 | სეიპა-კალპა | 2.05 | 4.10 | 2.50 | 1.36 | 1.12 | 1.55 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 775 | ტაპარა-კერპეტი | 2.30 | 4.20 | 2.30 | 1.48 | 1.14 | 1.48 |
| 19:30 | 776 | ტურკუ-ლახტი | 2.25 | 4.10 | 2.30 | 1.45 | 1.13 | 1.47 |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:30 | 777 | იუვესკიულე-ჰელსინკი | 1.80 | 4.20 | 3.10 | 1.25 | 1.13 | 1.78 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 14 ოქტომბერი | | | | | | |
| 20:15 | 785 | სლავია-პარდუბიცე | 1.65 | 4.30 | 3.50 | 1.19 | 1.12 | 1.92 |
| 19:00 | 786 | ვიტკოვიცე-ბუდეიოვიცე | 1.75 | 4.20 | 3.30 | 1.23 | 1.14 | 1.84 |
| 20:00 | 787 | ლიბერეცი-სპარტა | 2.30 | 4.00 | 2.30 | 1.46 | 1.14 | 1.46 |
| 19:30 | 788 | პლზენი-ბოლესლავი | 1.40 | 4.50 | 5.00 | 1.06 | 1.09 | 2.36 |
| 20:00 | 789 | კარლოვი ვარი-ზლინი | 1.80 | 4.10 | 3.10 | 1.25 | 1.13 | 1.76 |
| 19:30 | 790 | ზნოიმო-კლადნო | 2.10 | 4.10 | 2.35 | 1.38 | 1.10 | 1.49 |
| 19:00 | 791 | ლიტვინოვი-ტრჟინეცი | 1.80 | 4.20 | 3.20 | 1.25 | 1.15 | 1.81 |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 793 | ტრჟინეცი-კლადნო | 1.80 | 4.20 | 3.00 | 1.25 | 1.12 | 1.75 |
| | | ჰოკეი. სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 14 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 806 | ნიტრა-კოშიცე | 3.10 | 4.20 | 1.80 | 1.78 | 1.13 | 1.25 |
| 20:00 | 979 | სლოვანი-ტრენჩინი | 1.45 | 4.40 | 4.50 | 1.09 | 1.09 | 2.22 |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 807 | სლოვაკეთი 20-სკალიცა | 7.50 | 5.50 | 1.20 | 3.17 | 1.03 | 1.00 |
| 19:00 | 808 | კემაროკი-ჟილინა | 2.30 | 4.10 | 2.20 | 1.47 | 1.12 | 1.43 |
| 19:00 | 809 | ნიტრა-პოპრადი | 1.80 | 4.20 | 3.10 | 1.25 | 1.13 | 1.78 |
| 19:00 | 810 | ზვოლენი-მიკულაში | 1.70 | 4.20 | 3.45 | 1.21 | 1.13 | 1.89 |
| 19:30 | 811 | ტრენჩინი- ბანსკა ბისტრიცა | 1.75 | 4.00 | 3.40 | 1.21 | 1.15 | 1.83 |
| 20:00 | 812 | სლოვანი-მარტინი | 1.55 | 4.50 | 4.10 | 1.15 | 1.12 | 2.14 |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 19:00 | 818 | სლოვანი-კოშიცე | 2.00 | 4.10 | 2.70 | 1.34 | 1.14 | 1.62 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 14 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:30 | 819 | ჰამბურგი-ინგოლშტადი | 1.75 | 4.20 | 3.10 | 1.23 | 1.11 | 1.78 |
| 21:30 | 820 | კიოლნი-დუისბურგი | 1.55 | 4.30 | 3.60 | 1.13 | 1.08 | 1.95 |
| | | 16 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:30 | 826 | კასელი-ჰამბურგი | 2.20 | 4.10 | 2.30 | 1.43 | 1.12 | 1.47 |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:30 | 821 | აისბარენი-ნიურნბერგი | 1.55 | 4.20 | 4.00 | 1.13 | 1.11 | 2.04 |
| 21:30 | 822 | დუისბურგი-იზერლონი | 3.00 | 4.10 | 1.80 | 1.73 | 1.12 | 1.25 |
| 21:30 | 823 | ვოლფსბურგი-კიოლნი | 1.80 | 4.10 | 3.10 | 1.25 | 1.13 | 1.76 |
| 21:30 | 824 | ჰანოვერი-ინგოლშტადი | 1.65 | 4.20 | 3.60 | 1.18 | 1.13 | 1.93 |
| 21:30 | 825 | სტრაუბინგი-კრეფელდი | 3.35 | 4.30 | 1.70 | 1.88 | 1.12 | 1.21 |
| 21:30 | 827 | აუგსბურგი-დიუსელდორფი | 2.05 | 4.10 | 2.40 | 1.36 | 1.10 | 1.51 |
| 21:30 | 828 | ფრანკფურტი-მანჰაიმი | 2.20 | 4.10 | 2.30 | 1.43 | 1.12 | 1.47 |
| | | ჰოკეი. შვეიცარია | | | | | | |
| | | 14 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:45 | 836 | კლოტენი-ლანგნაუ | 1.55 | 4.50 | 4.00 | 1.15 | 1.11 | 2.11 |
| 21:45 | 837 | ლუგანო-სერვეტი | 1.85 | 4.10 | 2.80 | 1.27 | 1.11 | 1.66 |
| 21:45 | 838 | ცუგი-ციურიხი | 2.30 | 4.10 | 2.20 | 1.47 | 1.12 | 1.43 |
| 21:45 | 839 | ბერნი-რაპერსვილი | 1.20 | 5.50 | 7.50 | 1.00 | 1.03 | 3.17 |
| 21:45 | 840 | დავოსი-ამბრი | 1.40 | 4.80 | 5.00 | 1.08 | 1.09 | 2.44 |
| 21:45 | 841 | ფრიბურგი-ბიელი | 1.55 | 4.50 | 4.00 | 1.15 | 1.11 | 2.11 |
| | | ხელბურთი. კაცები. შვედეთის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 15 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:10 | 908 | ჰამარბიუ-დროტი | 1.22 | 12.00 | 4.50 | 1.10 | 1.00 | 3.27 |
| 21:00 | 911 | სავეჰოფი-რედბერგსლიდი | 1.30 | 10.00 | 4.00 | 1.15 | 1.00 | 2.85 |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 909 | ლუგი-ტრელებორგი | 1.15 | 12.00 | 6.00 | 1.04 | 1.00 | 4.00 |
| | | ხელბურთი. კაცები ავსტრიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 15 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 913 | ბრეგენცი-ინსბრუკი | 1.10 | 12.00 | 7.00 | 1.00 | 1.00 | 4.42 |
| 22:15 | 914 | ტულნი-ფივერსი | 3.40 | 10.00 | 1.35 | 2.53 | 1.00 | 1.18 |
| | | ხელბურთი. კაცები გერმანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 14 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:15 | 925 | კილი-ფიუხსე | 1.03 | 12.00 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 6.00 |
| | | 17 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:30 | 920 | გუმერსბახი-ვეტცლარი | 1.05 | 12.00 | 9.00 | 1.00 | 1.00 | 5.14 |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 921 | ლემგო-ჰამბურგი | 2.20 | 9.00 | 1.80 | 1.76 | 1.00 | 1.50 |
| 17:00 | 922 | ნორდჰორნი-მაგდებურგი | 1.30 | 9.00 | 4.20 | 1.13 | 1.00 | 2.86 |
| 17:00 | 923 | ფლენსბურგი-დორმაგენი | 1.01 | 16.00 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 7.74 |
| 19:00 | 926 | მელსუნგენი-სტრალსუნდერი | 1.30 | 9.00 | 3.90 | 1.13 | 1.00 | 2.72 |
| 21:00 | 927 | ბალინგენი-ესენი | 1.50 | 8.00 | 3.00 | 1.26 | 1.00 | 2.18 |
| 21:00 | 928 | გიოპინგენი-გროსვალშტადტი | 1.40 | 8.50 | 3.50 | 1.20 | 1.00 | 2.47 |
| | | 19 ოქტომბერი | | | | | | |
| 17:00 | 924 | მინდენი-ლიოვენი | 6.00 | 12.00 | 1.15 | 4.00 | 1.00 | 1.04 |
| | | ხელბურთი | | | | | | |
| | | კაცები ესპანეთის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 15 ოქტომბერი | | | | | | |
| 22:45 | 929 | სიუდად რეალი-პილოტესი | 1.02 | 16.00 | 12.00 | 1.00 | 1.00 | 6.85 |
| 21:00 | 930 | ბარსელონა-ალკობენდასი | 1.01 | 15.00 | 16.00 | 1.00 | 1.00 | 7.74 |
| 22:30 | 931 | გრანოლიერსი-პორტლანდი | 3.10 | 10.00 | 1.35 | 2.36 | 1.00 | 1.18 |
| | | 18 ოქტომბერი | | | | | | |
| 21:00 | 933 | ალმერია-არატე | 2.50 | 9.00 | 1.65 | 1.95 | 1.00 | 1.39 |
| 22:00 | 934 | ვალიადოლიდი-არაგონი | 1.15 | 11.00 | 6.50 | 1.04 | 1.00 | 4.08 |
| 22:00 | 935 | ტეუკრო-ტორევიეხა | 1.75 | 8.00 | 2.40 | 1.43 | 1.01 | 1.84 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# დღეს და მერეც მოსაგებია

## ენერჯი მეექვსე მოთამაშეს ელოდება



დავით უსტიაშვილი

დღეს, 18.15 საათზე სპორტის სასახლეში ფიბას ევროთასის პირველ მატჩში რუსთავის „ენერჯი ინვესტი“ უკრაინულ „სუმიხიმპრომს“ ეთამაშება. ამ გუნდებს ორი თამაში აქვთ ჩასატარებელი. მათი ორმატჩიანი სერიის მეორე დაპირისპირება 21 ოქტომბერს კიევში გაიმართება.

დუდუ დადიანის მემორიალზე თამაშისა და მოგების შემდეგ რუსთაველი კლუბი შეიკრიბა და მაქსიმალური დატვირთვით შეუდგა ვარჯიშს.

მემორიალის მოგებამ მოთამაშეებს რწმენა და ვარჯიშის ხალისი შემატა. ლეგიონერი მოთამაშეები კი თავის მხრივ აძლიერებენ გუნდის შემადგენლობას.

თამაშამდე ერთი დღით ადრე „ენერჯი-ინვესტის“ მთავარმა მწვრთნელმა დავით უსტიაშვილმა, მოთამაშეებთან ერთად პრესკონფერენცია გამართა.

**დავით უსტიაშვილი:**

— ხვალ საკმაოდ დიდი გამოცდა გველის. მოწინააღმდეგე სერიოზული გუნდია, ძლიერი მოთამაშეებით დაკომპლექტებული. სამი ამერიკელი, ორი ლიტველი და ერთიც ნიგერიელი ლეგიონერი ჰყავთ. ეს გუნდი ივლისიდან ემზადება. დროის ამ მონაკვეთში მათ არაერთი მოთამაშე გამოსცადეს და საბოლოოდ კარგ შემადგენლობას მოუყარეს თავი.

მოსამზადებელ ეტაპზე უკრაინელები სხვადასხვა დონის გუნდებს ეთამაშებოდნენ. თუნდაც თავისზე ძლიერებს, ჩვენ კი „სუმიხიმპრომის“ დონის გუნდთან ჯერ არ გვითამაშია. ეს დიდი პლუსია მეტოქისთვის.

მართალია, ისინი სამ თვეზე მეტია, რაც ერთად არიან და ვარჯიშობენ, ჩვენ კი სულ ახლახან შევიკრიბეთ და ამ დროის განმავლობაში მხოლოდ სამი თამაში ჩავატარეთ, მაგრამ მოგების შანსი, რა თქმა უნდა, გვაქვს.

**კოტე ტულუში, „ენერჯი-ინვესტის“ კაპიტანი:**

— გულშემატკივართა მხარდაჭერის შემთხვევაში ერთი მოთამაშე გვემატება. მათი დიდი იმედი გვაქვს, ხოლო რაც შეეხება გუნდს და მოთამაშეებს, თორმეტკაციან განაცხადში სამი ახალწვეულია, ასე რომ, შეთამაშებულ თამაშს ვერ გიჩვენებთ, მაგრამ თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ და გვჯერა, გავიმარჯვებთ. თუმცა წინასწარ პროგნოზის გაკეთება რთულია.

**ლაშა გამყრელიძე:**

— მე ყოველთვის მჯეროდა, რომ სავსე დარბაზი მეექვსე მოთამაშეა. ღმერთის წყალობით, ყველანი ჯანმრთელად ვართ და ტრავმები არ გვაწუხებს. იმედი მაქვს, გავიმარჯვებთ.

**პოლ მაკფერსონი:**

— აქ ბევრი მოთამაშე მომწონს. ვფიქრობ, გვაქვს შანსი და არც მონდომება გვაკლია გამარჯვებისთვის.

**ნიკოლა რადოიჩიჩი:**

— ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი უპირატესობა — შინ ვთამაშობთ. მართალია, მოწინააღმდეგე ძლიერი გვყავს, მაგრამ უბრძოლველად არც ჩვენ დავნებდებით. უფრო მეტიც, ვიბრძოლებთ მანამ, სანამ არ გავიმარჯვებთ.

**ბოიან ვუკადენოვიჩი:**

— ჩასატარებელი გვაქვს ორი თამაში. პირველი ხვალ, 14 ოქტომბერს, საქართველოში. მეორე კი 21 ოქტომბერს უკრაინაში და არა მარტო ხვალინდელ, არამედ მომავალ თამაშსაც მოვიგებთ, რადგან ერთ მოგებას და საერთო ჯამში წაგებას აზრი არ აქვს.

**ანი მახარაშვილი**



ვლადიმერ ბოისა

# ისევ ორმაგი ესპანური მარცხი

ძალიან ცუდად დაიწყეს ქართველი კალათბურთელების გუნდებმა ესპანეთის ჩემპიონატი. საწყის სამ ტურში, რომელიც ამ ერთი კვირის მანძილზე გაიმართა, ჩვენი ორი მოთამაშის ორმა გუნდმა სამ-სამი მარცხი ინვნია. შეგახსენებთ, რომ ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში ვლადიმერ ბოისა — „ვივე მენორკას“ ღირსებას იცავს, ტაირონ ელისი კი — „კახასოლისას“. ელისმა ამ გუნდში თავისი მეორე სეზონი დაიწყო, ბოისა კი სულ ცოტა ხნის წინ გადაბარგდა ბერძნულ „არისიდან“ პირინეის ნახევარკუნძულზე.

**კახასოლი 59:79 გრანადა**

საქართველოს ნაკრების ამერიკელი უკანახაზელის გუნდმა, ვერც ამჯერად მოახერხა რამე ღირებულის გაკეთება და თამაშის მოგება. ერთი ეგაა, რომ ამჯერად ელისმა შედარებით უკეთ ითამაშა, ვიდრე წინა ტურში. ის თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესოც იყო. მან და კიდევ ორმა მოთამაშემ 12-12 ქულის დაგროვება შეძლეს.

ისე კი, უნდა ითქვას, რომ ელისმა ვერც ამჯერად ისროლა სამქულიანები ისე, როგორც სჩვევია — 8-დან სულ 2-ის ჩაგდება მოახერხა. თუმცა წინა შეხვედრის მაჩვენებელს ისევ ეს სჯობდა

**ტაირონ ელისი: 35 წუთი, 12 ქულა, 5 მოხსნა, 3 შედეგიანი გადაცემა, 1 ჩაჭრა, 3 დაკარგვა, 2 პერსონალური შენიშვნა, 6-დან 3 ორქულიანი, 8-დან 2 სამქულიანი.**

**მენორკა 73:75 ხუვენტუდი**

ჯერჯერობით ვლადიმერ ბოისა ვერ ახერხებს იმ თამაშის ჩვენებას, რომელსაც მისგან ველით ქართველი და ესპანელი გულშემატკივრები. საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის თამაში ჯერ ისევ არასტაბილურია — შედეგიან და კარგ თამაშს ჩავარდნა ენაცვლება. თუმცა იმედია, სულ მალე ბოისა ისე ათამაშდება, როგორც მისი დონის და გამოცდილების მოთამაშეს შეეფერება.

„მენორკამ“ სამი ტურის შემდეგ ჯერ ისევ ვერ შეძლო გამარჯვება. აქედან ორ შემთხვევაში ბოისა და მისი თანაგუნდელები შინ ძალიან მცირე სხვაობით დამარცხდნენ.

ახლა სასურველია ქართველი მოთამაშის გუნდმა რაც შეიძლება მალე მოახერხოს მობილიზება და თამაშების მოგება დაიწყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გასული სეზონის მსგავსად, გათამაშებას სატურნირო ცხრილის ფსკერზე დაასრულებს. არადა, „მენორკას“ ხელმძღვანელებმა სეზონის დაწყებამდე გუნდის შემადგენლობა გააძლიერეს და სერიოზული გეგმებიც ჰქონდათ, მაგრამ ჯერჯერობით სახეირო არაფერი ჩანს.

**ვლადიმერ ბოისა: 19 წუთი, 1 მოხსნა, 3 ჩაჭრა, 1 დაკარგვა, 2 პერსონალური შენიშნა, 4-დან 1 ორქულიანი.**

**გიორგი არაბული**

ჩოგბურთი

# კალაშნიკოვას პირველი დიდი გამარჯვება



**ქართველმა** ჩოგბურთელმა ოქსანა კალაშნიკოვამ მექსიკის ქალაქ სან ლუის პოლოსში მშვენივრად იჩოგნავა და 25 ათას დოლარიანი ტურნირი მოიგო.

კალაშნიკოვას ტურნირის მოსაგებად შვიდი მატჩის მოგება დასჭირდა. ოქსანამ თამაში საკვალიფიკაციო ბადიდან დაიწყო, მასპინძელ ანა სოფია სანჩესს და ავსტრალიელ იოჰანა კონტას მოუგო და ძირითად ბადეში გაალწია, სადაც ჯერ არგენტინელი ვანესა ფურლანტეტო დაჯაბნა 6:3 6:4, მერე მას ესპანელი არანჩა პარაისანტოიც მიაყოლა — 6:4 4:6 7:6.

მასპინძელ ვერონიკა შპიგელის დამარცხების (7:5 6:1) შემდეგ ოქსანამ ნახევარფინალში ამერიკელ კოკო ვანდევეგეს 3:6 6:4 6:4 მოუგო და ფინალში გავიდა. იქ მას პორტუგალიელი, მსოფლიოს 234-ე ჩოგანი ფრედერისია ჰიედადე ელოდა. კალაშნიკოვამ ურთულეს მატჩში მოწინააღმდეგეს 7:5 4:6 6:4 აჯობა და ტურნირის გამარჯვებული გახდა.

რაც კალაშნიკოვა პროფესიონალებში თამაშობს, ერთეულთა თანრიგში ეს მისი პირველი მოგებული ტურნირია.

**ნიკა ძოპაძე**

ხელბურთი




# ჭანტურია და მეტალურგი უგოლოდ და უქულოდ

**ქართველი** ხელბურთელის რევაზ ჭანტურიას მაკედონიურმა „მეტალურგმა“ ჩემპიონთა ლიგაში მეორე თამაში ჩაატარა და კვლავ ხ...მოცარული დარჩა. გერმანიაში „კილთან“ წაგების შემდეგ მაკედონიელები კიდევ ერთი გრანდს „ბარსელონას“ ესტუმრნენ და 19:30 წააგეს, თუმცა ესპანეთში „მეტალურგი“ სხვა შედეგს რომ ვერც მიიღებდა, ძნელად სავარაუდო ისედაც არ იყო. ჩვენთვის საკითხავი ის გახლდათ, რამდენად კარგად წარმოაჩენდა თავს ქართველი სპორტსმენი.

პირველი ტაიმი „მეტალურგმა“ ოდენ 3 ბურთით, 11:14 წააგო და მეორე ტაიმშიღა გატყდა. ჭანტურიამ გოლის გატანა ვერ შეძლო. მისიანებისგან ჟივკოვიჩმა გაიტანა ყველაზე მეტი 5 გოლი.

„ბარსას“ კი გონსალესმა ულიდერა და 6 გოლი გაიტანა.

ახლა „მეტალურგს“ ორი თამაშიდან ორი წაგება აქვს და ეგებ მომდევნო საშინაო თამაშში შეძლოს ქულების აღება...

**ლექსო მაისურაძე**

# შვიდი მედალი მსოფლიოს თასიდან

**გასულ** უქმეებზე საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ბაქოს მსოფლიოს თასი მოიარა და შინ გვარიანი ალაფით დაბრუნდა. ჩვენებმა აზერბაიჯანში სულ შვიდი მედალი მოიპოვეს. ოქროს მედალი აიღო მძიმეწონოსანმა გიორგი ყიზილაშვილმა. ვერცხლის მედლები მოიპოვეს: ბეთქილ შუკვანმა (66 კგ) და უჩა ხუციშვილმა (66 კგ), ხოლო თენგიზ პაპოშვილი (73 კგ), ხვიჩა ხუციშვილი (81 კგ), დავით ლორიაშვილი (100 კგ) და მძიმეწონოსანი ვახტანგ ზოიძე ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

გიორგი ყიზილაშვილის საჩემპიონო გზამ ჯერ უკრაინელ დიმიტრი პოლიანსკიზე გაიარა. ყიზილაშვილმა პოლიანსკი იპონით დაამარცხა. ჩვენებურმა ნახევარფინალში აზერბაიჯანელ ფარიდ ბაბაევსაც გამოუყვანა წირვა, ფინალში კი რუს ასლან კამნიევს აალებინა ოქროს მედალზე ხელი.

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბეთქილ შუკვანს სამივე შეხვედრა მასპინძლებთან მოუწია. მან რასიმ ასადულაევსა და მურად აბდულაევს კი მოუგო, მაგრამ ფინალში სამირ დადაშზადესთან ველარაფერს გახდა.

66 კგ-ში უჩა ხუციშვილმა ფინალში რუს მიხაილ პულიაევთან წააგო. პირველ რაუნდში უჩამ აზერბაიჯანელი ტარლან კაზიმოვი წააქცია და ნახევარფინალშიც, ასევე აზერბაიჯანელ ემილ ჰანასნოვს მოერია.

73 კგ-ში თენგიზ პაპოშვილმა მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. 81 კგ-ში ხვიჩა ხუციშვილმა პირველ შეხვედრაში აზერბაიჯანელი ელმადინ ახმადოვი დააიპონა, ნახევარფინალში მასპინძელ რუსლან ალიმლისთან წააგო, ბრინჯაო კი კანადელ კალემ კაჩურს ააცალა ცხვირწინ.

100 კგ-ში დავით ლორიაშვილმა მესამე ადგილისთვის ორთაბრძოლაში ლიტველ ეგიდიუს ზელისკასთან იმარჯვა. ლორიაშვილმა პირველ შეხვედრაში რუს დიმიტრი რენევს მოუგო იპონით, შემდეგ უკრაინელ ანდრეი ბლოშენკოსთან წააგო.

მძიმე წონაში ვახტანგ ზოიძე ყიზილაშვილის მიერ წაქცეულ პოლიანსკის ბრინჯაოსთვის ბრძოლაში მოერია იპონით.

**ზურაბ მიგრიაული**



გიორგი ყიზილაშვილი (მარჯვნივ) მსოფლიოს თასის ეტაპი მოიგო



# ქართული ხუთიანები და მთავარიც: ბალაშვილი მსოფლიოს ჩემპიონია



ზაზა ბალაშვილი

**ესტონეთში** გასულ შაბათკვირას მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა სუმოში. ეს გახლავთ მოყვარულთა შეჯიბრება, სადაც სპორტსმენები წონით კატეგორიებში არიან განაწილებულნი და რომელსაც მხოლოდ წესები აქვს იაპონურთან საერთო. ის პროფესიულია, ეს კი — სამოყვარულო.

სამოყვარულო ლიგაში წარმატება კი განსაკუთრებით იმით არის მნიშვნელოვანი, რომ აქედან შეიძლება ვინმეს თავი მოაწონო და საბოლოოდ იაპონიაშიც კი აღმოჩნდე.

18-წლამდელთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ზაზა ბალაშვილი, რომელმაც ესტონურ დოჰიოზე არც ერთ მოწინააღმდეგეს შანსი არ დაუტოვა. რაც ყველაზე სასიამოვნოა, ახალგაზრდა ქართველმა ფინალურ დაპირისპირებაში იაპონელ იოშიდა კაისუკის სძლია.

სანამ ბალაშვილი ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენელს შეებმებოდა, ორი ბრძოლის მოგება მოახერხა, ჯერ პოლონელთან, შემდეგ კი ეგვიპტელ მოწინააღმდეგესთან.

ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატში ზაზა ბალაშვილის გარდა კიდევ ორი ქართველი გამოვიდა — ალექსანდრე ხაფავა და ალექსანდრე კაკაბაძე. ვერც ერთმა მათგანმა მედლის აღება ვერ შეძლო, თუმცა კი ხაფავამ მეხუთე ადგილი დაიკავა და მედალთან ახლოს იყო.

ჩვენი სუმოისტები უფროსი ასაკის სპორტსმენთა მსოფლიოს ჩემპიონატშიც ცდიდნენ ძალებს, სადაც ვერც ერთმა ქართველმა პოდიუმზე ვერ ააღწია.

ამასთან ყველაზე ახლოს მაინც გიორგი ცაგურია იყო, რომელმაც მეხუთე ადგილი დაიკავა. სხვათა შორის, ეს ბიჭი ლევან ცაგურიას უმცროსი ძმა გახლავთ.

ცაგურიას გარდა მსოფლიოს ჩემპიონატში ორი სხვა ფალავანიც მონაწილეობდა. ერთიც და მეორეც ძიუდოისტი გახლავთ — ალექსი დავითაშვილი და ადამ ოქრუაშვილი. ისინიც უმედლოდ დარჩნენ.

ჩვენებს მედლამდე სულ ცოტა დააკლდათ გუნდურ გათამაშებაშიც. აქაც მეხუთე ადგილზე დავრჩით. თავიდან ქართველებმა ბულგარელებს აჯობეს, შემდეგ კი იაპონელებთან წააგეს. მერე იყო მესამე ადგილისთვის ბრძოლა პოლონელებთან და ჩვენებმა კიდევ ერთი მარცხი იწვნიეს.

გუნდურ ასპარეზობაში ქვეყნებს სამ-სამი წარმომადგენელი ჰყავდათ. საქართველოს სახელით ავთანდილ ცერცვაძე, ადამ ოქრუაშვილი და ალექსი დავითაშვილი ჭიდაობდნენ.

**გიორგი არაბული**

სეოკ-ის საანგარიშო-საარჩევნო სესიაზე (2008 წლის 31 ოქტომბერი) დასასწრებად ჟურნალისტთა სარეგისტრაციოდ განცხადების მიღება იწარმოებს 20 ოქტომბრამდე.

სეოკ-ის პრეს-სამსახური





ბადრი ქადიაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დასავლური სამბო ზესტაფონში

**ზესტაფონში** სპორტული სკოლის დარბაზმა დასავლეთ საქართველოს ღია პირველობას უმასპინძლა ნორჩ სამბისტთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ქუთაისელმა, წყალტუბოელმა, სამტრედიელმა, თერჯოლელმა, ფოთელმა და ზესტაფონელმა სამბისტებმა. შეჯიბრება ორ ასაკობრივ (1992-94 წლებში და 1995-97 წლებში დაბადებულ ჭაბუკები) ჯგუფში ჩატარდა. შეჯიბრების მთავარი მსაჯი კი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თემურ ჯიბლაძე გახლდათ.

**ბექანი ჩხეიძე**

## 1995-97 წწ. დაბადებულები

**27 კგ**
1. საბა შარაშენიძე (ვანი)
2. გიორგი ბაჯაძე (ვანი)
3. გურამ მუსელიანი (წყალტუბო)
3. ზურაბ ხინჩაგაძე (ვანი)

**30 კგ**
1. ჯეირან წულაია (ფოთი)
2. ნიკა სირაძე (ქუთაისი)
3. ზურაბ ჩუბინიძე (ზესტაფონი)
3. მილერ ხურციძე (ვანი)

**33 კგ**
1. გიორგი ვარდოსანიძე (ზესტაფონი)
2. ზურაბ როხვაძე (ვანი)
3. ანზორ მაჩიტაძე (ფოთი)
3. შოთა კოტია (ფოთი)

**36 კგ**
1. დავით კორტი (ქუთაისი)
2. ვარლამ შალიკაშვილი (ქუთაისი)
3. გიორგი შარაშენიძე (ვანი)
3. ჯაბა წულაია (ფოთი)

**40 კგ**
1. ვანო გაჩეჩილაძე (ზესტაფონი)
2. ჯაბა მაღლაკელიძე (ვანი)
3. დავით წურწუმია (ფოთი)
3. შმაგი დადუნაშვილი (ვანი)

**44 კგ**
1. უჩა გვასალია (ფოთი)
2. რეზო გაჩეჩილაძე (თერჯოლა)
3. დავით ჩაფიჩაძე (ზესტაფონი)
3. გია მახათაძე (ზესტაფონი)

**48 კგ**
1. ნოშრევან ორმოცაძე (ვანი)
2. ნიკა ბოგვერაძე (ზესტაფონი)
3. ლევან ლილუაშვილი (თერჯოლა)
3. ზურაბ ლომიძე (ზესტაფონი)

**52 კგ**
1. ბესო კოხრეიძე (ქუთაისი)
2. ბექა დოლონაძე (ქუთაისი)
3. ლევან მარაქველიძე (ზესტაფონი)
3. ბექა გოგიბერიძე (ვანი)

**56 კგ**
1. ირაკლი ნასრაძე (ზესტაფონი)
2. გურამ ურიადმყოფელი (ზესტაფონი)
3. რომან მეფარიშვილი (ფოთი)
3. გიორგი წურწუმია (ფოთი)

**60 კგ**
1. გოგა კაპანაძე (ზესტაფონი)
2. ნიკა ნიქაბერიძე (ზესტაფონი)
3. ლაშა კვიკვინია (ფოთი)
3. თამაზ კარკაძე (ქუთაისი)

**+60 კგ**
1. გიორგი ლაზუაშვილი (ზესტაფონი)
2. ნოარი ძიგრაშვილი (ვანი)
3. ირაკლი სიორდია (ფოთი)
3. ირაკლი კახნიაშვილი (ზესტაფონი)

## 1992-94 წწ. დაბადებულები

**48 კგ**
1. გიგო ნადარეიშვილი (ფოთი)
2. ლერი ჯიხვაშვილი (ქუთაისი)
3. ოთარ გაბუნია (ვანი)
3. საშა ჭიჭინაძე (ქუთაისი)

**52 კგ**
1. ლაშა კვირიკაშვილი (წყალტუბო)
2. ზაზა ზარნაძე (ზესტაფონი)
3. შოთა ჯანიაშვილი (ზესტაფონი)
3. ლაშა ყანჩაველი (ზესტაფონი)

**56 კგ**
1. მექი მჭედლიძე (ზესტაფონი)
2. ზაზა ჩაქაბერია (ვანი)
3. ივანე პატარაია (ფოთი)
3. მერაბ კვინიკაძე (ზესტაფონი)

**60 კგ**
1. პაატა მარხვაშვილი (ვანი)
2. გიორგი კობახიძე (ზესტაფონი)
3. გიორგი აფაქიძე (წყალტუბო)
3. რამინ ლომაია (ფოთი)

**65 კგ**
1. ბექა ტუღუში (ფოთი)
2. ზვიად მიქაბაძე (ზესტაფონი)
3. ზაზა ბოჭორიშვილი (ზესტაფონი)
3. გაგა აბდუშელიშვილი (თერჯოლა)

**70 კგ**
1. ჯაბა ჩეჩელაშვილი (წყალტუბო)
2. გიორგი ხურციძე (ქუთაისი)
3. შოთა ჩარკვიანი (წყალტუბო)
3. ოთარ ტყეშელაშვილი (ვანი)

**75 კგ**
1. თემურ ნიჟარაძე (ქუთაისი)
2. გურამ კვინიკაძე (ზესტაფონი)
3. გიორგი თოფურია (ფოთი)
3. რევაზ სორდია (ფოთი)

**81 კგ**
2. ალეკო სოსელია (ფოთი)
2. ირაკლი კლდიაშვილი (ქუთაისი)
3. გიორგი წიქარიშვილი (ვანი)
3. ავთო გაბრიაძე (ქუთაისი)

**87 კგ**
1. ბადრი სირბილაძე (ზესტაფონი)
2. ბექა ბეჟანიძე (ქუთაისი)
3. ამირანი არჩვაძე (თერჯოლა)
3. ვარლამ ურიადმყოფელი (ზესტაფონი)

**+87 კგ**
1. კობა ეგუტიძე (ქუთაისი)
2. ლადო მანაგაძე (ზესტაფონი)
3. გიორგი ხუსკივაძე (ზესტაფონი)
3. ნოდარ ტაბატაძე (ზესტაფონი)

# ლოები თითქმის ჩემპიონია


სებასტიენ ლოები

**ცოტაც** და, კლასიკური რალის ფრანგი ჯადოქარი სებასტიენ ლოები ზედიზედ მეხუთედ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი და ამ მაჩვენებლით აბსოლუტურ რეკორდს დაამყარებს.

თავის უცვლელ მეწყვილესთან, მონაკოელ დანიელ ელენასთან ერთად, ლოებმა გასულ უქმეებზე მიჯრით მესამედ მოიგო მშობლიური, საფრანგეთის რალი, რომელიც ტრადიციულად კუნძულ კორსიკაზე, აიაჩოს შემოგარენში ტარდება და გენერალურ კლასიფიკაციაში უკვე 14 ქულით გაუსწრო უახლოეს მდევარს, „ფორდის“ ფინელ მრბოლ მიკო ჰირვონენს. ჩემპიონატის ბოლომდე კი ორი ეტაპილა რჩება და სასწაული უნდა მოხდეს, ფინელმა ფრანგის გადასწრება რომ მოახერხოს. თუმც, მაინც ნუ ვიჩქარებთ, რადგანაც შარშან ამ დროს თავად ლოები, თითქმის უიმედოდ ჩამორჩებოდა სხვა ფინელს, აწ უკვე პენსიონერ ორგზის ჩემპიონ მარკუს გრონჰოლმს, მაგრამ ბოლო ორ ეტაპზე, იაპონიასა და უელსში, ყველაფერი თავდაყირა დადგა.

და მაინც, არა გვგონია, შარშანდელივით მოხდეს და ლიდერმა პოზიციები დათმოს, რადგანაც წლეულს ლოები ერთი თავით აღემატება ყველა კონკურენტს — წლევანდელი 13 ეტაპიდან ლოებმა 10 მოიგო და ადრე ნათქვამს ერთხელაც გავიმეორებთ — საკვირველი უფრო ის გახლავთ, „სიტროენის“ ყოჩმა აქამდე რომ ვერ გაინაღდა პირველობა. ამის მიზეზი კი ზესტაბილური ჰირვონენია, რომელიც ყველა რალის პოდიუმზე ასრულებს და ლოებს მოდუნების საშუალებას არ აძლევს.

თუმცა, რა მოდუნებაზეა ლაპარაკი, როდესაც უნივერსალური ფრანგი მის საყვარელ ასფალტზე დაქრის ხოლმე. ამ საფარზე სებასტიენს მართლა არ ჰყავს ბადალი და ეს ბოლო ორ კვირაში მოგებული ორი ეტაპითაც დაამტკიცა — წინა უქმეებზე კატალონიურ ასფალტზე მოიგო ესპანეთის რალი, ახლა კი კორსიკულ ასფალტზე მეორე ადგილზე გასული ჰირვონენი თითქმის სამწუთ-ნახევრით ჩამოიტოვა.

ლოებმა პირველივე სპეცმონაკვეთი მოიგო, სულ კი 16 დოპიდან 13 მისი პირველობით დასრულდა — მხოლოდ ბოლოსკენ შეანელა ტემპი და მე-12, მე-15 და მე-16 დოპები „ფორდის“ მრბოლებს, ფრანსუა დიუვალს, იარი-მატი ლატვალასა და ჰირვონენს დაუთმო.

„დიდებულია, როდესაც სამშობლოში იმარჯვებ. მთელი სამი დღის მანძილზე ყველაზე სწრაფები ვიყავით და ეს მახარებს როგორც მე, ისე მთელ გუნდს. ამ გამარჯვებას ვგეგმავდით და ყველაფერი დიდებულად წარიმართა. თანაც, გენერალურ კლასიფიკაციაში უახლოეს მდევარს უკვე 14 ქულას ვუგებ. ჩემპიონატის ბოლომდე კი ორი ეტაპილაა დარჩენილი და ეს კომფორტული უპირატესობაა. თუმცა ვნახოთ, მოვიცადოთ იაპონიამდე“ — განაცხადა კორსიკაში გამარჯვების შემდეგ ლოებმა და იაპონიამდე ბევრიც აღარფერი დარჩა, იქაური რალი, უკვე ოქტომბრის ბოლოს დაიწყება.

და ერთიც — ის უკვე ვთქვით, წლევანდელი 13 ეტაპიდან 10 ლოებმა რომ მოიგო და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ კორსიკული ტრიუმფი მეხუთე იყო ფრანგისთვის, სულ კი მის ანგარიშზე, უკვე 46 მოგებული ეტაპია.

ბოლოს კი რამდენიმე სიტყვით კორსიკის რალის ისტორიასაც გადავავლოთ თვალი, რადგანაც ლოები ერთადერთი კია, ვინც აიაჩოს შემოგარენში ზედიზედ ოთხჯერ გამარჯვება მოახერხა, მაგრამ ის მაინც არ არის კორსიკის აბსოლუტური რეკორდსმენი, რადგანაც სხვა ფრანგს, ძველ ჩემპიონ დიდი ორიოლს იქ ექვსჯერ (1988-90, 1992, 1994-95) უმარჯვია.

ხუთჯერ (1975, 1977-79, 1981) მოიგო მშობლიური რალი კიდევ ერთმა ფრანგმა ბერნარ დარნიჩმა. კორსიკაზე ორ-ორჯერ უხეირიათ ასევე ფრანგებს, ფილიპ ბუგალსკისა (1996, 1999) და ჟილ პანიზის (2000, 2003), ასევე ფინელ მარკუ ალენს (1983-84) და ბრიტანელ კოლინ მაკრეის (1997-98). დღეს მოქმედი მრბოლებიდან კი კორსიკული გამარჯვებით, ლოების გარდა, მხოლოდ ნორვეგიელი პეტერ სოლბერგი დაიკვეხნის, რომელმაც 2003 წელს მოიგო საფრანგეთის რალი.

**ქახა ლომაძე**

### მსოფლიოს ჩემპიონატი კლასიკურ რალიში
XIII ეტაპი. საფრანგეთის რალი. აიაჩო (კორსიკა). 10-12 ოქტომბერი

**რბოლის შედეგები**

| | |
|---|---|
| 1. სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი“) | 3 სთ 42 წთ 58,0 წმ |
| 2. მიკო ჰირვონენი (ფინეთი, „ფორდი“) | +3 წთ 24,7 წმ |
| 3. ფრანსუა დიუვალი (ბელგია, „ფორდი“) | +3.31,6 |
| 4. იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, „ფორდი“) | +3.37,5 |
| 5. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, „სუბარუ“) | +5.35,4 |
| 6. კრის ატკინსონი (ავსტრალია, „სუბარუ“) | +6.10,4 |
| 7. ურმო აავა (ესტონეთი, „სიტროენი“) | +7.25,2 |
| 8. მეტიუ უილსონი (ბრიტანეთი, „ფორდი“) | +9.02,2 |

**საერთო ჩათვლა**

1. ლოები 106 ქულა; 2. ჰირვონენი 92; 3. დანიელ სორდო (ესპანეთი, „სიტროენი“) 59; 4. ატკინსონი 45; 5. ლატვალა 42; 6. პ. სოლბერგი 40; 7. ჰენინგ სოლბერგი (ნორვეგია, „ფორდ-მუნჩი“) 22; 8. დიუვალი 22; 9. ჯიჯი გალი (იტალია, „ფორდ-სტობარტი“) 17; 10. უილსონი 13

**კონსტრუქტორთა თასი**

1. სიტროენი 169 ქულა; 2. ფორდი 146; 3. სუბარუ 87; 4. ფორდ-სტობარტი 62; 5. ფორდ-მუნჩი 22; 6. სუზუკი 21

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil
№ 1 საავტომობილო ზეთი

# მეკვსი? არა, ხუთი

**იაპონიის** დიდი პრიზის დასრულებიდან რამდენიმე საათის შემდეგ რბოლის სტიუარდებმა 25-წამიანი ჯარიმით დასაჯეს „ტორო როსოს“ ფრანგი მრბოლი სებასტიენ ბურდე, რომელმაც მეექვსემ უწია ფინიშს, მაგრამ ამ ჯარიმის შედეგად მეათე ადგილზე გადაინაცვლა. შესაბამისად, მეშვიდედან მეექვსე ადგილზე გადავიდა ბურდეს გერმანელი თანაგუნდელი სებასტიან ფეტელი, მეშვიდედან მეექვსეზე აიწია „ფერარის“ ბრაზილიელმა პილოტმა ფელიპე მასამ და ქულათა ზონაში, ანუ ერთქულიან მერვე ადგილზე კი „რედ ბულის“ ავსტრალიელი მარკ ვებერი მოხვდა.

ამ გადანაცვლებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი მასას ამბავია — ბრაზილიელმა იაპონიიდან ერთის ნაცვლად ორი ქულა წამოიღო და ახლა ის არა ექვსი, არამედ 5 ქულითღა ჩამორჩება გენერალური კლასიფიკაციის ლიდერს, „მაკლარენ-მერსედესის“ ინგლისელ მრბოლ ლუის ჰემილტონს. შეიცვალა სხვაობა გუნდური ჩათვლის მოწინავეთა შორისაც — „ფერარი“ „მაკლარენს“ არა ექვსი, არამედ შვიდი ქულით უსწრებს.

სტიუარდებმა ლოები თავად მასასთან შეჯახების გამო დასაჯეს. ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც ფრანგი პიტ-ლაინიდან გამოდიოდა. შეჯახების შედეგად მასას ბოლიდი დატრიალდა, თუმც ბრაზილიელმა შეძლო რბოლის გაგრძელება.

ბურდე თავს დამნაშავედ არ თვლის და მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ეპიზოდში ყველაფერი რეგლამენტის მიხედვით გააკეთა და შეჯახება მისი ბრალი არ ყოფილა.

„ჩემთვის ყველაფერი გასაგებია — განაცხადა ბურდემ — პიტ-სტოპიდან გამოვდიოდი და ყურადღება მმართებდა, მაგრამ მე სწორედაც რომ ყურადღებით და ფრთხილად ვმოქმედებდი, ტრასის შიდა რადიუსზე დავრჩი და მასასთვის ტრაექტორია არ გადამიჭრია. ყველაფერი გავაკეთე, რაც ჩემზე იყო დამოკიდებული, მაგრამ მასა ისე მოიქცა, თითქოს მე საერთოდ არ ვყოფილიყავი ტრასაზე. რა უნდა გამეკეთებინა? ალალად რომ ვთქვათ, ვერ გამიგია, თუ რატომ მოიქცა ბრაზილიელი ასე. მას იმ მომენტში ძალზე ბევრი რამ შეეძლო დაეკარგა. თანაც, სამი წრის შემდეგ მასა ბოქსებში უნდა შესულიყო და ნებისმიერ სიტუაციაში ჩემს უკან აღმოჩნდებოდა. რაში სჭირდებოდა მას ეს რისკიანი მანევრი? მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ ჩემს სიმართლეში, სტიუარდების გადაწყვეტილებას არ გავუკვირვებივარ. არ ვიცი რატომ, მაგრამ ყველა სადავო საკითხის განხილვისას ისინი მე მამტყუნებენ ხოლმე“.

**ქახა ლომაძე**

# დაუჯერებელი, მაგრამ დამსახურებული

**ჯერ** სინგაპური, ახლა კი იაპონია — „რენოს“ ესპანელმა პილოტმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ფერნანდო ალონსომ აზიაში ორი დიდებული რბოლა ჩაატარა. ამას დაამატეთ ისიც, რომ იაპონიაში მეოთხე იყო ალონსოს ბრაზილიელი თანაგუნდელი ნელსინიო პიკე და გასაგები გახდება ფრანგული საჯინიბოს იტალიელი შეფის ფლავიო ბრიატორეს სიხარულის მიზეზი.

„ძალიან ბედნიერი ვარ. დიდებული შედეგია ფერნანდოსთვისაც, ნელსინიოსთვისაც და მთელი გუნდისთვისაც. თანაც, აბსოლუტურად დამსახურებულად მოვიგეთ — პილოტებმა მშვენიერი რბოლა ჩაატარეს და ჩვენმა სტრატეგიამაც სრულად გაამართლა. სეზონი ჩვენთვის ძალიან მძიმედ დაიწყო და მინდა, გუნდის ყველა წევრს მადლობა გადავუხადო გაწეული სამუშაოსთვის. ჩვენ ვთქვით, რომ მწვერვალზე დავბრუნდებოდით და დღეს ეს დავამტკიცეთ“ — განაცხადა ბრიატორემ.

იაპონური ეტაპის მთავარი გმირი ფერნანდო ალონსო ბოლომდე ვერ იჯერებდა, რომ ზედიზედ ორი დიდი პრიზის მოგება მოახერხა. „ძნელია ამის დაჯერება. რა თქმა უნდა, სინგაპურული ტრიუმფი ძალიან მოულოდნელი იყო და გარკვეულწილად უსაფრთხოების მანქანის ტრასაზე გამოჩენამ და შექმნილმა უჩვეულო პირობებმა განაპირობა. მაგრამ იაპონიაში არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა და ჩვენ მაინც მოვიგეთ, თანაც იმ ტრასაზე, რომელიც „რენოსთვის“ იდეალური ნამდვილად არ არის. გუნდმა უზარმაზარი სამუშაო გასწია და ახლა მხოლოდ „ფერარის“ და „მაკლარენს“ თუ ჩამოვრჩებით — ბრძანა ფერნანდომ და დაამატა — რბოლის სტარტი ძალიან შთამბეჭდავი გამოვიდა. პილოტების უმრავლესობა პირველ მოსახვევში ძალიან აგრესიულად შევიდა და ამით ვისარგებლე, წინ გაჭრილ კუბიცას კუდში მივყევი. პიტ-სტოპების პირველი სერიის წინ მეორე პოზიციაზე ვიყავი და ამიტომაც გუნდს შევთავაზე, ცოტა საწვავი ჩაესხათ, რათა პიტ-სტოპზე კუბიცასთვის გამესწრო. მეორე პიტ-სტოპისთვის დროის საჭირო მარაგის შექმნა იყო საჭირო. ასეთი ტაქტიკა ხანდახან ამართლებს, ხანდახან — არა. ამჯერად გაამართლა. მანქანა დიდებულად მუშაობდა და ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც ჩვენ გვსურდა“.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ოფიციალურად ჯერ არ განუცხადებია, თუ რომელი გუნდის ღირსებას დაიცავს 2009 წელს, მაგრამ ორი აზიური გამარჯვების შემდეგ ეჭვი აღარავის ეპარება, რომ ალონსო კვლავაც „რენოში“ დარჩება.

**ქახა ლომაძე**

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**ორშაბათს** ტრადიციულად პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა და ისევე, როგორც ერთი კვირის წინ, მათში კვლავ 17 ქართველის გვარი ფიგურირებს, 7 კაცისა და 10 ქალის.

გასულ შვიდდღეულში ჩვენებურთა რეიტინგებს რამე განსაკუთრებული ცვლილებები არ განუცდია — ისინი დაახლოებით ისევ იქ არიან, სადაც წინა ორშაბათს იყვნენ. აი, მომავალი ორშაბათისთვის კი წინსვლას ველოდებით — ოქსანა კალაშნიკოვამ მექსიკაში მოიგო 25-ათასიანი ტურნირი, ეკა გორგოძემ ესპანეთში 10-ათასიანი შეჯიბრის ფინალში ითამაშა და რადგანაც ეს ტურნირები ITF-ის ეგიდით ჩატარდა, მათი შედეგები არა ახალ, არამედ მომავალ რეიტინგში აისახება.



ეკა გორგოძე

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 70000 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 5930 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 4745 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 2995 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2315 |
| 6. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2260 |
| 7. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 2175 |
| 8. ენდი როდიკი (აშშ) | 1970 |
| 9. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 1685 |
| 10. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1645 |
| 11. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1625 |
| 12. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 1520 |
| 13. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 1440 |
| 14. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1415 |
| 15. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფრანგეთი) | 1410 |
| 16. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 1390 |
| 17. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 1305 |
| 18. გაელ მონფილზი (საფრანგეთი) | 1283 |
| 19. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1255 |
| 20. იგორ ანდრეევი (რუსეთი) | 1240 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 1265 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 921 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 899 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 520 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 417 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 354 |
| 7. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 337 |
| 8. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 312 |
| 9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 309 |
| 10. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 286 |
| 11. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 283 |
| 12. ჟილ სიმონი (საფრანგეთი) | 261 |
| 13. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 257 |
| 14. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 255 |
| 15. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 253 |
| 16-17. იგორ ანდრეევი (რუსეთი) | 239 |
| 16-17. გაელ მონფილზი (საფრანგეთი) | 239 |
| 18. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 235 |
| 19. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 225 |
| 20-21. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 221 |
| 20-21. მარდი ფიში (აშშ) | 221 |

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 4555 |
| 2. დინარა საფინა (რუსეთი) | 3782 |
| 3. სერენა უილიამსი (აშშ) | 3717 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3289 |
| 5. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3235 |
| 6. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3040 |
| 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2835 |
| 8. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 2372 |
| 9. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2247 |
| 10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 2126 |
| 11. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1777 |
| 12. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1747 |
| 13. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1698 |
| 14. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1670 |
| 15. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) | 1598 |
| 16. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1570 |
| 17. ფლავია პენეტა (იტალია) | 1480 |
| 18. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 1425 |
| 19. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 1423 |
| 20. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 1337 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 4785 |
| 2. დინარა საფინა (რუსეთი) | 3823 |
| 3. სერენა უილიამსი (აშშ) | 3681 |
| 4. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 3235 |
| 5. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2953 |
| 6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2623 |
| 7. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2515 |
| 8. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 2435 |
| 9. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2247 |
| 10. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 2096 |
| 11. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1703 |
| 12. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია) | 1640 |
| 13. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1594 |
| 14. ფლავია პენეტა (იტალია) | 1554 |
| 15. ალიზ კორნე (საფრანგეთი) | 1428 |
| 16. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 1427 |
| 17. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 1412 |
| 18. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1349 |
| 19. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1327 |
| 20. კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 1305 |

### კაცები

| | |
|---|---|
| 537 (+1) ირაკლი ლაბაძე | 48 |
| 938 (-0) ლაზარე კუხალაშვილი | 11 |
| 1215 (-15) ლადო ჩიხლაძე | 4 |
| 1251 (-14) ნოდარ ითონიშვილი | 4 |
| 11312 (-4) ნიკოლოზ ბასილაშვილი | 3 |
| 1570 (-8) ბექა ბუჩუკური | 1 |
| 1658 (-8) დემეტრე თაქთაქიშვილი | 1 |

### ქალები

| | |
|---|---|
| 163 (-1) ანა ტატიშვილი | 195 |
| 217 (-4) მაკა ჩახნაშვილი | 129 |
| 257 (+1) სოფო შაფათავა | 107 |
| 555 (+5) ოქსანა კალაშნიკოვა | 27 |
| 663 (+8) სოფო ქვაცაბაია | 19 |
| 673 (-0) თინა ყავლაშვილი | 18 |
| 676 (-8) მანანა შაფაქიძე | 18 |
| 740 (-2) სალომე დევიძე | 14 |
| 774 (-3) ეკა გორგოძე | 12 |
| 900 (-3) სოფო მელიქიშვილი | 8 |

# ნალბანდიანის გამოღვიძება

**წლის** შემაჯამებელ ტურნირებამდე თვეზე ოდნავ მეტი დარჩა და გასაკვირი არაა, რომ თანდათან იკვეთება იმ საუკეთესო რვარვა კაცი და ქალი მეჩოგნის ვინაობა, ვისაც სეზონის უკანასკნელ პრესტიჟულ შეჯიბრზე თამაშის უფლება მიეცემა.

აქამდეც არაერთხელ გვითქვამს, რომ ქალთა შორის უფრო ბევრი რამ არის გარკვეული, რადგანაც უკვე ცნობილია ის ხუთი იღბლიანი, ვინც დოჰაში ითამაშებს. ყველაზე ადრე ეს უფლება სერბებმა — ელენა იანკოვიჩმა და ანა ივანოვიჩმა მოიპოვეს, რაც უკვე მაისში გახდა ცნობილი. ისე, კიდევ კარგი, რომ ივანოვიჩმა ასე ადრიანად გაინაღდა წლის შემაჯამებელ ტურნირზე თამაშის უფლება, თორემ სეზონის მეორე ნახევარში ნაჩვენები ჩოგბურთიდან გამომდინარე, ის არაფრის ღირსი არ იქნებოდა.

თანამემამულისგან განსხვავებით, ბოლო ხანებში საუცხოო ფორმაშია იანკოვიჩი, რომელმაც გუშინწინ კრემლის თასზე იჩემპიონა და ამით ბოლო სამ კვირაში უკვე მესამე ტიტული მოიგო. სერბმა მნიშვნელოვნად გაიმყარა მსოფლიოს პირველი ჩოგნის სტატუსი და სერიოზული განაცხადა გააკეთა იმაზე, რომ წელიწადი რეიტინგის სათავეში დაასრულოს. ამისთვის ელენას მაინდამაინც ბევრი წვალება არ დასჭირდება — თუ ამიერიდან ყველაფერი პირწმინდად არ წააგო, მას ადგილს ვერავინ შეეცილება.

სერბების შემდეგ დოჰას ბილეთები დინარა საფინამა და სერენა უილიამსმა გაინაღდეს — ეს აშშ-ს ღია პირველობაზე მოხდა. სამიოდ კვირის წინ მათ ელენა დემენტიევაც შეუერთდა.

დარჩენილი სამი ადგილისთვის კი რეალურად ოთხი მეჩოგნე იბრძვის — სვეტლანა კუზნეცოვა, ვერა ზვონარიოვა, ვინუს უილიამსი და აგნეშკა რადვანსკა. წესით, ამ ომში მარია შარაპოვაც უნდა ყოფილიყო ჩართული, მაგრამ რუსმა პრიმამ უკვე განაცხადა, რომ წლეულს კორტზე გასვლას აღარ გეგმავს და მომავალი სეზონისთვის იწყებს მზადებას.

ჩამოთვლილი კვარტეტიდან ყველაზე ნაკლები შანსები მაინც აგენშკა რადვანსკას აქვს. პოლონელი ჯერჯერობით საუკეთესო რვა მეჩოგნის მიღმა იმყოფება, პლუს, ბოლო ხანებში არცთუ საზარბიელო ფორმაშია და ამიტომ ძნელი მოსალოდნელია, რომ მან დოჰაში წასასვლელად სერიოზული ბრძოლა გაუმართოს უშუალო კონკურენტ ვინუს უილიამსს.

ახლა კი კაცებზე გადავიდეთ და სანამ აქაურ რეიტინგში მომხდარ ცვლილებებზე ვისაუბრებდეთ, მოგახსენებთ, რომ ხანგრძლივი უქმობის შემდეგ ამ კვირას საქმეში ვიხილავთ რაფაელ ნადალსა და როჯერ ფედერერს. თანამედროვეობის ამ უდიდესმა ჩოგბურთელებმა გვარიანი დასვენება მოიწყვეს და ჩოგანს ხელში ახლა მადრიდის მასტერსის ხათრით აიღებენ.

სხვა მხრივ კი განსაკუთრებული სიახლეები არ მომხდარა. უკვე მრავალჯერ მოგახსენეთ, რომ წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრა განაღდებული აქვთ იმავე ნადალსა და ფედერერს, მათთან ერთად კი ნოვაკ ჯოკოვიჩსა და ენდი მიურეის. მალე მათ ალბათ ნიკოლაი დავიდენკოც შეუერთდება — ეს მხოლოდ დროის საკითხია და



დავიდ ნალბანდიანი

მოვლენები საოცრად უნდა დაემთხვეს ერთმანეთს, რომ ის შანხაის ბილეთის გარეშე დარჩეს.

დარჩენილი სამი ადგილისთვის კი უახლოეს კვირებში მაგარი ომი იქნება, რადგანაც ჩინეთში წასვლაზე ჩოგბურთელთა მთელი წყება აცხადებს პრეტენზიებს. გუშინ კი ერთ მნიშვნელოვანი გადაადგილება მოხდა — კარგა ხანს მერვე ადგილზე მყოფი ჯეიმს ბლეიკი ხუან მარტინ დელ პოტრომ ჩაანაცვლა. მართალია, არგენტინელ თინეიჯერს წინა კვირას ვენაში ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, მაგრამ ერთი მატჩი მოიგო და ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ამერიკელის პოზიციის დასაკავებლად.

აღვნიშნოთ ისიც, რომ გაიღვიძა დავიდ ნალბანდიანმა, რომელმაც სტოქჰოლმში იჩემპიონა და შანხაიში მოხვედრის თითქოსდა მინავლებული შანსები ფრიად გამოაცოცხლა. ახლა არგენტინელმა უახლოეს ორ მასტერსზე შარშანდელივით თუ იფრინა, მაშინ წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრა ნამდვილად უნდა მოახერხოს.

**ბაჩა ლომაშვილი**

## სნუკერი

### დიდი პრიზი. გლაზგო. შოტლანდია. 11-19 ოქტომბერი

# შეუსვენებლად


სტივ ჰენდრი

**სნუკერისტთა** 2008-09 წლების სარეიტინგო ტურნირების შემდგენლებმა ისე გააკეთეს, რომ შანხაის მასტერსსა და შოტლანდიაში გასამართ დიდ პრიზს შორის ინტერვალი ერთი კვირაც კი არ გამოვიდა. გაითვალისწინეთ, რომ ამ რამდენიმე დღეში ჩინეთიდან ბრიტანეთის ჩრდილოეთში ჩასვლა და აკლიმატიზაციის გავლა იყო საჭირო და დაინახავთ, რომ ელიტარული სნუკერისტები, ფაქტობრივად, შესვენების გარეშე ჩაებნენ მსოფლიოს ჩემპიონატისა და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს პირველობის შემდეგ პრესტიჟულობით მესამე ტურნირზე, რომელსაც დიდი პრიზი ჰქვია.

წილისყრის შედეგად ბადის ზედა ნახევარში მოხვდნენ მსოფლიოს ჩემპიონი და რეიტინგის უპირობო ლიდერი რონი ოსალივანი, შანხაის მასტერსის გამარჯვებული და ფინალურ მატჩში თვით ოსალივანის მომრევი რიკი უოლდენი, სნუკერის ლეგენდა სტივ ჰენდრი და ავსტრალიელი ნილ რობერტსონი. ესენი ფინალში გასვლის პრეტენდენტები არიან, თუმც მთავარი ფავორიტი, ბუნებრივია, ოსალივანია.

გაცილებით მძაფრი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს ბადის ქვედა ნაწილში, სადაც სტივ მაგუაერი, მარკ სელბი, ჯონ ჰიგინსი, დინ ჯინხუ, შონ მერფი, მარკო ფუ და პიტერ ებდონი არიან თავმოყრილნი.

პირველი ბრძოლაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ჯონ ჰიგინსი ჩაება. მშობლიური პუბლიკის თვალწინ შოტლანდიელმა 5:0 გაანადგურა ინგლისელი ენტონი ჰემილტონი. შემდეგ მაგიდასთან ინგლისელები, ჯო პერი და ბარი ჰოუკინსი გავიდნენ და წინასწარი რეიტინგის მე-7 საფეხურზე მყოფმა პერიმ საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში 5:3 აჯობა თანამემამულეს.

ეს ორი მატჩი შაბათს ჩატარდა. კვირას კი პირველი წრის კიდევ ხუთი შეხვედრა გაიმართა, რომელთაგან ცენტრალური უელსელების, რაიან დეისა და შანხაის სენსაციური ტრიუმფატორი რიკი უოლდენის დაპირისპირება იყო. უოლდენს ძალიან სურდა, შანხაიში მოპოვებული რენომეს განმტკიცება და პრინციპში, მას თავი არც ამჯერად შეურცხვენია, მაგრამ გამარჯვება მაინც უფრო გამოცდილ დეის დარჩა. ეს უკანასკნელი თავიდანვე დაწინაურად, 3:1-სა და 4:2-ს იგებდა. უოლდენმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ გადამწყვეტ ფრეიმში ქულებს მხოლოდ დეი აკეთებდა.

სრული ცხრა ფრეიმი ჩაატარეს მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა სტივ ჰენდრიმ და დეივიდ ჯილბერტმაც. თავიდან სქოთი ვეტერანი 2:0 დაწინაურდა, თუმც ინგლისელმა 123-ქულიანი ბრეიკით უპასუხა და შემდეგ ანგარიშიც გაათანაბრა — 2:2. მერე თანაფარდობა 4:4-ზე ავიდა და მეცხრე ფრეიმში კი იღბალმა ჰენდრის გაუღიმა.

შვიდგზის ჩემპიონის დარად ბოლოსკენ იხეირა მსოფლიოს ექვსგზის ტრიუმფატორმა სტივ დევისმაც. ვეტერან ინგლისელთან შეხვედრაში ფავორიტად ავსტრალიელი ნილ რობერტსონი ითვლებოდა, მაგრამ არასტაბილურმა ოზმა ვერაფერი მოუხერხა სნუკერის ბრძენკაცს და 4:5 დათმო თამაში.

ყველაზე შთამბეჭდავად ჰონკონგელმა მარკო ფუმ ითამაშა, რომელმაც 139-ქულიანი ბრეიკი გამოაცხო და 5:2 მოუგო უცნობ ინგილსელ ჯიმი მიჩის, ხოლო დღის კიდევ ერთ შეხვედრაში ინგლისელმა მაიკლ ჰოლტმა 5:1 გაანადგურა ჩრდილოირლანდიელი მარკ ალენი.

და ერთიც — მსოფლიოს ექსჩემპიონმა, შოტლანდიელმა გრემ დოტმა ვერ მოასწრო შანხაიში ფეხბურთის თამაშისას მიღებული ტრავმის მოშუშება და შანხაის მასტერსის დარად, ვერც ამჯერად შეძლო მაგიდასთან გასვლა. შედეგად, თინეიჯერი ინგლისელი, ჯად ტრამი უბრძოლველად გავიდა მეორე წრეში და იქ თვით ოსალივანსა და ჩინელ ლიან ვენბოს შორის გამარჯვებულს დაელოდება.

## კრივი


ჩად დოუსონმა ანტონიო ტარვერი ნოკდაუნში ჩააგდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიადმა დიადს თვალი შეავლოო

**გასულ** უქმეებზე კრივის მოყვარულთა ყურადღება ორ ნაწილად იყო გაყოფილი — გუშინ უკვე მოგახსენეთ ვიტალი კლიჩკოს ტრიუმფალურ დაბრუნებაზე. თუმც უკრაინელის სამუელ პიტერთან ბრძოლა ინტერესს უფრო ევროპაში იწვევდა, ამერიკელთა ყურადღება კი ლას ვეგასისკენ იყო მიპყრობილი, სადაც ნახევრადმძიმე წონაში ერთმანეთს IBO-ს ქამრის მფლობელი ჩად დოუსონი ოთხგზის ჩემპიონ და IBF-ის ტიტულის მოქმედ მფლობელ ანტონიო ტარვერს ხვდებოდა.

შეიძლება გასაკვირად მოგეჩვენოთ, მაგრამ ძირითადი ყურადღება არა ტარვერს, არამედ დოუსონს ეთმობოდა. ამ ბიჭს უკვე კარგა ხანია დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, ბოლო წელიწადნახევარში კი უბრალოდ, უსირცხვილოდ აპიარებენ, როგორც მსოფლიოს უძლიერეს მოკრივეს. ხოლო თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ დოუსონის პროტეჟე თავად ფლოიდ მეივეზერ-უმცროსია, გასაგები ხდება, თუ რამხელა აურზაურია მის გარშემო ატეხილი.

ისე, დოუსონი საქმითაც ყოველთვის ამტკიცებდა საკუთარ სიძლიერეს, რადგანაც აქამდე ჩატარებული 27 ბრძოლიდან ერთიც არ წააგო, 17-ში კი სულაც ნოკაუტით გაემარჯვა. მას მხოლოდ იმას უდებდნენ ხინჯად, რომ აქამდე ძლიერი, მართლაც ელიტური კლასის მოკრივე არ დაემარცხებიანა. ასე რომ, ტარვერთან ჯახი მის პირველ სერიოზულ გამოცდად უნდა ქცეულიყო.

ჰოდა, დოუსონმაც წარმატებით გაართვა ამ გამოცდას თავი და ტარვერი დამაჯერებლად დაამარცხა. მართალია, ნოკაუტით ვერ მოიგო, მაგრამ სამაგიეროდ ბრძოლის მიწურულს დოუსონის გამარჯვებაში არავის ეპარებოდა ეჭვი და ეს სამივე მსაჯმა ერთსულოვნად დააფიქსირა კიდეც.

გაფორმება კი ბრძოლას მართლაც შთამბეჭდავი ჰქონდა — რინგზე გასვლამდე ორიოდე წუთით ადრე დოუსონს გასახდელში მეივეზერმა დაურეკა და ამაზე ჟურნალისტებმა დიდი აურზაური ატეხეს.

„ბევრი არ ულაპარაკიათ — ფლოიდმა მხოლოდ უთხრა, უკეთესი მოკრივე ხარ და თუ არ დაიბენი, აუცილებლად მოიგებო“ — პრესკონფერენციაზე „საიდუმლო“ გაამხილა დოუსონის მწვრთნელმა ედი მუსტაფა მუჰამადმა. ხოლო როცა კალმოსნები ამ გამოცდილ კაცს შეეკითხნენ, არ გაგიკვირდათ მეივეზერის თავგამოდებაო, ასეთი პასუხი მიიღეს: „დიადი თვალის ერთი შევლებით ცნობს დიადს. ახლაც ეს ამბავია“.

ეს ყველაფერი შეიძლება გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ დოუსონმა რინგზე აჩვენა ის, რასაც მისგან მუჰამადი და მეივეზერი ითხოვდნენ. ახალდგამომცხვარი ჩემპიონი უკეთესად მოძრაობდა, მეტსაც და თან უფრო ზუსტად ურტყამდა მეტოქეს. ტარვერი კი ცდილობდა თავისი განთქმული და ერთ დროს ბევრის ფიცარნაგზე დამგდები მარჯვენა აემოქმედებინა, მაგრამ მეტოქემ ამის საშუალება თითქმის არ მისცა — თავისი სწრაფი ხელების წყალობით დოუსონი იოლად იგერიებდა ვეტერანის შეტევებს და ყოველთვის მწარედ პასუხობდა.

ბრძოლის მიწურულს კი ასაკმაც თავისი როლი ითამაშა — ტარვერი აშკარად დაიღალა, მისი მეტოქე კი ბოლომდე მაღალ ტემპში აგრძელებდა ბრძოლას. შედეგად დოუსონმა ბოლო რაუნდში ვეტერანი ნოკდაუნშიც გაუშვა და მართალია, ტარვერი წამოდგა, ეს მაინც კაპიტულაცია იყო.

ასეთი ბრძოლების შემდეგ თავისთავად წამოიწევს ხოლმე საკითხი, თუ ვინ იქნება გამარჯვებულის მორიგი მეტოქე. როგორც აღმოჩნდა, დოუსონისთვის სულ ერთია, ვის დაეჯახება, ოღონდ კი მომავალი მეტოქე ტიტულიანი იყოს.

„მას არ აინტერესებს უბრალოდ ფულის შოვნა და ტიტულის დაცვა ვინმე უცნობ მეტოქესთან. ჩადს მხოლოდ უძლიერესებთან ჯახი სწადია, რომ მაყურებელი აღაფრთოვანოს. მას უნდა, ყველას უპირობო ჩემპიონად დაამახსოვროს თავი“ — ამაყად ამბობდა მუჰამადი.

ნახევრადმძიმე წონაში ამდაგვარ ძლიერ მოკრივეებად დღეს მხოლოდ როი ჯონსი და ჯო კალძაგელა შემორჩნენ. ასე რომ, სავარაუდოდ, დოუსონიც რომელიმე მათგანს დაეტაკება.

**ბაჩა ლომჯავილი**

## ველორბოლა

# ჟილბერის პირველი და ცაბელის ბოლო

**2008 წლის** ველოსეზონი ამ შაბათს იტალიაში ერთდღიანი კლასიკური რბოლა „ჯირო ლომბარდიათი“ დაიხურება. გასულ კვირას კი ფრანგული კლასიკის, 252-კილომეტრიანი „პარიზი-ტურის“ ჯერი იყო და ეს უაღრესად პოპულარული შეჯიბრი ფრანგული „ფრანსაიზ დე ჟუს“ ბელგიელმა მრბოლმა ფილიპ ჟილბერმა მოიგო.

26 წლის ჟილბერი ფინიშამდე 15 კილომეტრით ადრე მიაწყდა პელოტონს თანამემამულე იან კუიკთან და ფრანგ სებასტიენ ტიურგოსთან ერთად. სულ ბოლოსკენ ამ სამეულს ჯგუფურ რბოლაში საფრანგეთის ჩემპიონი ნიკოლა ვოგონდიც შეუერთდა და საბოლოო ჯამში მოწინავე კვარტეტმა ძირითად ჯგუფს 4 წამით აჯობა. უშუალოდ ოთხეულში კი საფინიშოდ ყველაზე მეტი ძალა ჟილბერს შერჩა, რომელმაც 252 კილომეტრის გავლას 5 საათი, 47 წუთი და 45 წამი მოანდომა და კარიერაში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა.

წლევანდელი „პარიზი-ტური“ სხვა რამითაც აღსანიშნავი გახდა, რადგანაც სწორედ ამ ერთდღიანი კლასიკური რბოლით დაასრულა თავისი ხანგრძლივი და უაღრესად წარმატებული კარიერა სახელოვანმა გერმანელმა ერიკ ცაბელმა.


ფილიპ ჟილბერი და ერიკ ცაბელი

აქ არ დავიწყებთ ცაბელის ყველა ტიტულის ჩამოთვლას. ერთს კი ვიტყვით, რომ 16-წლიანი კარიერის მანძილზე მან 212 გამარჯვება მოიპოვა, ექვსჯერ მოიგო „ტურ დე ფრანსის“ საუკეთესო სპრინტერის სარგო მწვანე მაისურა, ოთხჯერ იმარჯვა „მილანი-რემოს“ უპოპულარულეს ერთდღიან რბოლაში და სამჯერ, 1994, 2003 და 2005 წლებში „პარიზი-ტურიც“ მოიგო.

## ჰოკეი

### რეგულარული ჩემპიონატი

12 ოქტომბერი

**ლოს ანჯელესი 0:1 სან ხოსე**
0:0 0:1 0:0
0:1 კასპარი (30)

**ანაჰაიმი 2:4 ფინიქსი**
0:1 1:2 1:1
0:1 ბედკერი (12), 0:2 დოუნი (22), 0:3 ტერისი (29), 1:3 კარტერი (34), 1:4 დოუნი (57), 2:4 პაროსი (57)

**ედმონტონი 3:2 კოლორადო**
1:0 0:1 2:1
1:0 პორკოფი (7), 1:1 საკიკი (32), 2:1 პენერი (46), 2:2 ჰაიდუკი (50), 3:2 პენერი (60)

# ჩემს სანახავად პრეზიდენტი მოვა!

## გულგრილი ტადესე რიომაც ვერ მოხიბლა



**თაკარა** მზის ქვეშ, ლურჯი ოკეანის პირას და ზურმუხტის მთების ძირში, ანუ რიო დე ჟანეიროში მსოფლიოს მრავალი კუთხიდან ჩასულ მორბენლებს იქნებ ძალიანაც სწყუროდათ პლაჟზე კოტრიალი და პეიზაჟებით ტკბობა, მაგრამ პროფესიონალ მძლეოსანს, პირველ რიგში, სირბილი ევალება და ისინიც პროფესიულ ვალდებულების განწყობით გაუდგნენ გრძელ გზას.

რიო მასპინძლობდა მსოფლიოს ჩემპიონატს ნახევარმარათონულ დისტანციაზე. სტარტი სან კორნატის პლაჟზე, უცნობილესი გავეას კლდის მიდამოებში იყო დანიშნული. შემდეგ გზა მიუყვებოდა ატლანტის ოკეანის სანაპიროს, უცნობილეს პლაჟებს — ლებლონს, იპანემას, კოპაკაბანას, ბოტაფოგოს — ბოლოს ფლამენკოს და კაუატემოკის მოედანზე ამთავრებდა 21-კილომეტრიან მარშრუტს. ამინდიც გადასარევი იყო...

სტარტზე პროფესიონალი მძლეოსნები, ცხადია, წინა რიგებში გაემწესებინათ, მათ უკან კი მოყვარულ მორბენალთა 16-ათასიანი ჭრელი არმია განლაგებულიყო. თავიდანვე დაწინაურდა წინა ორი ნახევარმარათონის მომგები ზერსენაი ტადესე ერიტრეიდან, ვისაც კომპანიონობა გაუწია რუანდელმა დიუდონე დიზიმ.

ტადესე განთქმული სტაიერია, 10 კილომეტრზე სირბილში არცთუ სახუმარო შედეგები აქვს მსოფლიოს ჩემპიონატებსა თუ ოლიმპიადებზე. თუმცა, მრავალი კოლეგის მსგავსად, პროფესიული კარიერის გარკვეულ ეტაპზე სარბენი ბილიკის მიმართ სიყვარული შარაგზაზე სირბილის სურვილით შეეცვალა (ასე იყო თუნდაც ლეგენდარული ჰაილე გებრსელასიე) და ნახევარმარათონებში საუკეთესოს სტატუსიც მოიპოვა, მომავალი წლიდან კი სრული 42 კილომეტრის გამოცდასაც მოუწყობს თავს.

ტადესე რიოში მთავარი ფავორიტი იყო და დამაჯერებლადაც მოიგო. ფინიშამდე 5 კილომეტრი რომ რჩებოდა, მან სხვისთვის აუტანლად აჩქარა ფეხი და ბოლო გზა ისე სწრაფად გაირბინა, თითქოს წინა 15-16 კილომეტრზე სულ სხვას ემუშავოს. ერიტრეელი საათში ჩაეტია — 59 წუთი და 56 წამი ამყოფინა ამხელა გზას და მთელი ორი წუთით მიასწრო უახლოეს მდევარს, კენიელ პატრიკ მაკაუ მუსუოკის. მესამე იყო ყატარელი აჰმად ჰარინ აბდულა. ამ მიღწევით ტადესე უნიკალური მორბენალი შეიქნა — მანამდე ხომ სამჯერ არავის მოუგია ნახევარმარათონში მსოფლიოს ჩემპიონატი. იმაზე დარდი, ალბათ დიდხანს არ გაჰყვება, რომ გუნდურ ჩათვლაში მისი გამარჯვება პირველობისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. კენიურმა სამეულმა, ჯამში, ერიტრეელებზე გაცილებით სწრაფად ირბინა.

„ასეთი გარბენის მოგება ძნელია, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია მოპოვებული ჩემპიონობის შენარჩუნება. ამიტომ ბოლო კვირები სამშობლოში თავგამოდებით ვვარჯიშობდი, კარგ ფორმაში ვიყავი და მით უფრო სირბილის ეშხში შესვლის შემდეგ საბოლოოდ გამიქრა ყოველგვარი ეჭვი, რომ ვინმე მაჯობებდა" — ამბობდა ტიტულის დამცველი ჩემპიონი.

ბრაზილიელმა ჟურნალისტებმა ისიც ჰკითხეს — სამუშაო ფრიადზე შეასრულე, აგერ, რა პლაჟი გილიმის და კიდევ რამდენ დღეს დარჩები ჩვენს მშვენიერ ქალაქში. ტადესეს პასუხმა ყველა გააოცა — „ქალაქი კია მართლაც მშვენიერი, მაგრამ აქაური პლაჟების გამო აქ ვერ დავრჩები. ჩვენთან, ერეტრეაში, არანაკლები პლაჟებია. თანაც სხვა მიზეზითაც მეჩქარება — აეროპორტში საზეიმო დახვედრას მიწყობენ, თვით ქვეყნის პრეზიდენტიც მოვა!"

რაც შეეხებათ ქალებს, რა გასაკვირია და, აქაც აღმოჩავლეთ აფრიკის წარმომადგენელს, კერძოდ კენიელს დარჩა გამარჯვება — ლორნა კიპლაგატმა 1 საათში, 8 წუთსა და 37 წამში მოირბინა რიოს პლაჟები.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ჰოლანდიის კენიური ლანდები

**ამ** უქმეებზე კენიელ გრძელ დისტანციაზე მორბენალთა მთელი არმია მიაწყდა ჰოლანდიის ქალაქ ეინდოჰოვენს, სადაც 25-ედ გაიმართა მარათონი. ჰოლანდიაში უფრო მასშტაბური მარათონებიც იმართება, თუნდაც როტერდამისა, მაგრამ ესეც საკმაოდ „ხარისხიანი" გახლდათ და შედეგებიც რიგიანი დაფიქსირდა.

კენიელებმა თავიდანვე ხელთ იპყრეს უპირატესობა და მოზრდილ გუნდად შეკრულებმა ისეთი ტემპი აკრიფეს, ბევრს სუნთქვა 10 კილომეტრამდეც არ მიჰყვა. სადღაც 24-25-ე კილომეტრზე დაიღალნენ და სირბილი შეწყვიტეს ფავორიტებმა, შარშანდელმა ჩემპიონმა ფილიპ სინგოეიმ (კენია) და დიმიტრი ბარანოვსკიმ (უკრაინა). ლიდერთა ჯგუფმა დისტანციის ეკვატორის გადალახვის შემდეგ იწყო შეთხელება და 30-ე კილომეტრზე აფრიკელთა მძლავრი ავანგარდიდან შვიდი მორბენალიღა შემორჩა, 35-ე კილომეტრზე კი თავში მხოლოდ ჯოფრეტ მუტაიმ და ფილიპ მანიუმი გადარჩენილიყვნენ. ამ უკანასკნელსაც ფეხი უკანკალებდა და მუტაი მალე ეულად გაუყვა ბოლო კილომეტრებს. აქ მას ძალა ეყო და კიდევ უფრო აუჩქარა ფეხს, როცა შეატყობინეს, ეინდჰოვენის მარათონის რეკორდის გრაფიკს მხოლოდ 12 წამით ჩამორჩებოდა. მას ცხოვრებაში არ ერბინა ამხელა გზაზე ასე სწრაფად, მაგრამ კენიელმა, რომელსაც რამდენიმე დღის წინ 27 წელი შეუსრულდა, მაინც გაძლო და ფინიში სტარტიდან საკმაოდ კარგ დროში 2 საათში, 7 წუთსა და 50 წამში გადაკვეთა, რითაც 7 წამი მოაკლო სინგოეის ეინდჰოვენურ რეკორდს. ამასთან პირადი საუკეთესო შედეგიც ერთბაშად 5 წუთით გააუმჯობესა.

აღსანიშნავია, რომ საბოლოოდ კაცთა გარბენში პირველი 11 ადგილი კენიელებმა დაიკავეს. ქალების სექტორში ნაკლებად ერთფეროვანი სურათი შეიქმნა: აქ ასევე კენიელმა ლიდია კუსგატმა იმარჯვა (2:33.39). მეორეც კენიელი იყო (კრისტინე ჩეპკონგა), პოდიუმის ბოლო საფეხურზე კი ბელგიელმა ალემიტუ ბეკელემ შედგა ფეხი, რომელიც აშკარად ეთიოპიური წარმოშობისა ჩანს. ნამდვილ ევროპელსა და მასპინძელს, ჰოლანდიის საუკეთესო ქალ მარათონელ ნადია ვიენბერგს კი მეოთხე ადგილით მოუხდა დაკმაყოფილება.

# მს ჭრელი და უზარმაზარი ჩიკაგო

**მარათონს** ევროპელებზე არანაკლებ აფასებენ ამერიკელებიც, რომელთაც მართალია, საუკეთესო მორბენლები არ ჰყავთ, მაგრამ შეჯიბრის ორგანიზებაში არაფერი ემლებათ. წელიწადში ერთხელ ხმაურით დაავადებულ ქალაქ-გიგანტებში მანქანების მოძრაობა წყდება და ცათამბჯენებში ჩაჭეჭყილ გზებზე ქვეითები გამოდიან. ნიუ იორკი, ბოსტონი, ჩიკაგო, ატლანტა... ამ ქალაქების მარათონები მსოფლიოში განთქმულია.




ამ უქმეებზე ჩიკაგოს გარბენი მოეწყო, რომელიც პლანეტაზე ერთ-ერთ ყველაზე ხალხმრავლად ითვლება. ახლაც ასიათასობით მოყვარული გამოვიდა შტატების სიდიდით მესამე და ეთნიკურად ყველაზე ჭრელი ქალაქის გზებზე. სულ 45 ათასი კაცი!

მაგრამ გამარჯვება, რაღა თქმა უნდა, პროფესიონალებს დარჩათ. 26 წლის ევანს ჩერიოტი მთელი თავისი აქტიური სპორტული კარიერის განმავლობაში სტადიონის ბილიკებზე ეძებდა წარმატებას და მხოლოდ შარშან გამოჩნდა მარათონზე მას შემდეგ, რაც მზარდი ასაკიდან გამოვიდა და ძვალი გაუმაგრდა. მან შარშან მოიგო თავისი სადებიუტო მარათონი მილანში, საკმაოდ დამაკმაყოფილებელი შედეგით — ჩამოსცდა 2 საათს და 10 წუთს. ახლა კი მან თავის მეორე გარბენში მთელი სამი წუთით გააუმჯობესა პირადი რეკორდი და 2 საათში, 6 წუთსა და 25 წამში დაფარა 42,195-კილომეტრიანი დისტანცია.

პოდიუმი შეავსეს სხვა კენიელებმა — დევიდ მანდაგომ (2:07.37) და ტიმოთი ჩერკატმა (2:11.39). ამერიკელთა შორის საუკეთესო უესლი კორისი კი მეოთხე იყო და სათქმელია, რომ ესეც კენიელია პასპორტით თუ არა, წარმოშობით მაინც.

ქალთა განყოფილებაში კი კენიელები არ ჩანდნენ და სხვებს მიეცათ თავის გამოჩენის საშუალება. პირველ-მეორე ადგილი რუსებმა გაიყვეს — ლიდია გრიგორიევამ (2:27.17) და ალევტინა ბიკტიმიროვამ (2:29.32). მესამე იყო იაპონელი კიოკო შიმაჰარა. პეკინის ოლიმპიადის ტრიუმფატორი რუმინელი კონსტანტინა ტომესკუ კი ამ ჯერზე შორს იდგა გამარჯვებისგან, მხოლოდ მეოთხე გახლდათ, პირველადგილოსანთან სამწუთნახევრიანი ჩამორჩენით.

**ირაკლი ფირაშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge